სარჯიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 11 იანვარი 2006 №3 (2625) ფასი 50 თეთრი

ჭოჰმიოლერმა საპაჯაშვილს სიტყვა და იმედი მისცა

გერმანელს ჩვენთვის გერმანია უნდა

AFP

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური განცხადება

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, გუშინ, 10 იანვარს სამართალდამცავმა ორგანოებმა ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინის შენახვა-მოხმარების ბრალდებით დააკავეს საფეხბურთო კლუბ ბოლნისის „სიონის“ დირექტორი გრიგოლ აბაზაძე. მიუხედავად იმისა, რომ ეჭვმიტანილის ბრალეულობა სასამართლოს ჯერ არ დაუმტკიცებია, თავად ფაქტი, რომ ფეხბურთში დასაქმებულ პიროვნებას ასეთი ბრალდება აქვს წაყენებული, ქართული საფეხბურთო სამყაროსთვის ყოვლად მიუღებელი და დასაგმობია.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ყველაფერს აკეთებს და მომავალშიც გააკეთებს იმისთვის, რათა ქართული ფეხბურთის სამსახურში ყოველმხრივ უმწიკვლო ადამიანები იდგნენ.

სპორტის დეპარტამენტმა აპარტამენტი შეინარჩუნა

თანაც ძალიან გაახალგაზრდავდა

კულუარული საუბრებისა და ათასი ჭორ-მართალის შემდეგ მოსახდენი მოხდა — კულტურისა და სპორტის სამინისტროს შეკედლებული ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტი სპორტის დეპარტამენტთან გაერთიანდა და ახალი ბინა ვაკეში, ქართული სპორტის ოფისში დაიდო. ამით ორივე გადაურჩა შესაძლო გაუქმებას და, ამასთან, წერტილი დაესვა სპორტის დეპარტამენტის შენობის შესაძლო გასხვისებაზე ლაპარაკს. გაერთიანებულ დეპარტამენტს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური უხელმძღვანელებს.

როგორც ჩანს, უფროს-უმცროსობაც ამით გადაწყდა, წამყვანი სპორტის დეპარტამენტი იქნება.

AFP

საკაშვილისთვის მიცემული სიტყვა უნდა შევასრულო

ჰერ კლაუსის პირველი ჩანაფიქრი: ტოპმიოლერის საქართველო ტოპმიოლერის გერმანიის წინააღმდეგ

გუშინდელი დღე საქმიანი ლანჩით დაიწყო საქართველოს ნაკრების დამრიგებელმა — კლაუს ტოპმიოლერი „თბილისი მარიოტის“ კაფეში ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს ესაუბრებოდა და იქვე იყო ჰერ კლაუსის თანაშემწე რალფ მინგეც — ბჭობა იყო დამდეგ შესარჩევ ციკლში ჩვენი უპირველესი გუნდის კალენდარსა და სხვა ორგანიზაციულ საკითხებზე.

წინა დღეს ახალკაცმა გამოგვიცხადა, გერმანული მხარის მოთხოვნით, კონტრაქტის ფინანსურ დეტალებს არ გამოვამზეურებთო, თუმცა გერმანულმა მედიამ მაინც იმარჯვა — ციკლში 2,3 მილიონი ევრო, ზოგმაც 2,5 მილიონიო — ასეთი იყო ცნობები გერმანიიდან.

რაც შეეხება ჩვენ მიერ მოპოვებულ სანდო და კონფიდენციალურ ინფორმაციას: ტოპმიოლერისა და მინგეს ნლიური მომსახურება საქართველოს დაახლოებით 1 600 000 დოლარი დაუჯდება და ბეგარაც ქართულმა მხარემ უნდა გადაიხადოს...

ასეა, ტოპმიოლერი ცხელ საქმეს შეუდგა და მასზე ცხელ-ცხელი ამბები ჩვენი გამოცოცხლებული საზოგადოებისთვის საინტერესოა. თუნდაც ის, თუ სად იცხოვრებს ტოპმიოლერი. როგორც შევიტყვეთ, დიდი შანსია, ჰერ კლაუსმა სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ დაიდოს კერა — გერმანელი თბილისში, სავარაუდოდ, წლის მესამედს იცხოვრებს და ოჯახის წევრები მას ხანდახან ჩამოაკითხავენ.

ლანჩის შემდეგ ტოპმიოლერმა ჰალსტუხიან კოსტიუმს შილიფი სამოსი არჩია, გორგოლაჭებიანი ჩემოდნით გამოემართა სასტუმროს გასასელელისკენ და აეროპორტში წასვლამდე გაგვესაუბრა...

„მართალია, მეექვსე კალათაში ვართ და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრისას ძლიერი მეტოქეები შეგვხვდება, მაგრამ ამაზე დარდს აზრი არ აქვს. ვცდილობ, გერმანიის ეროვნულ ნაკრებთან ამხანაგური მატჩი ვითამაშოთ. ამის თაობაზე უკვე ველაპარაკე გერმანიის საფეხბურთო კავშირს და იქ რომ ჩავალ, ამაზე კიდევ წავიმუშავებ. ძალიან ძნელია, გერმანიას მსოფლიოს ჩემპიონატამდე შევუთანხმდეთ ამხანაგურ მატჩზე, მაგრამ ყველანაირად ვეცდები“ — საინტერესო, ინტრიგული და ჩვენთვის სასარგებლო იდეა აქვს ჰერ კლაუსს.

ტოპმიოლერის დებიუტი საქართველოს ნაკრებში მალტის ტურნირზე თებერვლის ბოლოს შედგება.

„დებიუტი მალტაში მექნება, მაგრამ დებიუტზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ გუნდი რამდენიმე მატჩს ითამაშებს და საშუალება მექნება, ვნახო, თუ რა ვითარებაა საქართველოს ნაკრებში. წამყვანი ფეხბურთელები მალტაში, ალბათ, მხოლოდ ერთ მატჩს ითამაშებენ და მეტს არც დავაძალებ. იმ ეტაპზე ესეც საკმარისი იქნება“ — ეს იქნება პირველი, რასაც ტოპმიოლერი გააკეთებს საქართველოს ნაკრებში.

მანამდე კი თამაშეევრცსლილი გერმანელი სასელექციო საქმიანობითაც დაკავდება — სამშობლოში გუშინ გამგზავრებული თბილისში, სავარაუდოდ, 5 თებერვალს დაბრუნდება და 7 და 9 თებერვალს საქართველო — აზერბაიჯანის ოცდაერთწლამდელთა მატჩებზე დააკვირდება ჩვენს ჯელელებს.

„შესაძლოა, პირველი ნაკრებისთვის კანდიდატები შევარჩიო“ — გვითხრა ტოპმიოლერმა.

პროექტ საქართველო-ტოპმიოლერის მთავარი დამფინანსებელი და ხელშემწყობი საქართველოს ხელისუფლებაა და საქმე მისი აღმატებულების გარეშე რომ არ გამოვიდოდა, ნათელია. როგორია ტოპის შთაბეჭდილება პრეზიდენტთან ვიზიტის შემდეგ? გრძნობს თუ არა მხარდაჭერას ქვეყნის ხელისუფლებისგან?

„მოხარული ვარ, საქართველოს პრეზიდენტმა ჩემთან შესახვედრად რომ მოიცალა. მას ეტყობა, რომ სპორტული პიროვნებაა და დაინტერესებულია სპორტით და უშუალოდ ფეხბურთით. პრეზიდენტს შევპირდი, რომ მის იმედებს გავამართლებ და ეს სიტყვა უნდა შევასრულო. ვფიქრობ, საქართველო ღირსია, რომ თქვენმა ნაკრებმა წარმატებებს მიაღწიოს“ — გვიპასუხა ჩვენმა ახალმა მწვრთნელმა და იმედმა.

ტოპმიოლერმა ქართული სამზარეულოც შეგვიქო, კარგი სუფრა და ნოყიერი საჭმელები იცით, ყველაფერი მომეწონა და უარი არაფერზე მითქვამსო.

სასხვათაშორისოდ — ტოპმიოლერს ძალიან ღონიერი ხელის ჩამორთმევა სცოდნია.

დავით თავართქილაძე

თქვენი ინტერვიუ

კლაუს ტოპმიოლერთან

თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იქნება.

კითხვები 5 თებერვლის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და ჰერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.

იაქტიურეთ!



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

გელა ბ. ძულიანიძის ფოტო

აბა, აბუ-დაბიც ვნახოთ...

სურკისმა მარცვალაძის გასაგონად კალაძე ახსენა

კიევის „დინამო“ აბუ-დაბიში გაემგზავრა შეკრებაზე და 25 ფეხბურთელს შორის ოთარ მარცვალაძეც იახლა. მარცვალაძემ უკვე ითამაშა „დინამო 2“-ის შემადგენლობაში ტესტ-მატჩი, ძალიან კარგადაც გაისარჯა და, როგორც იტყვიან, ტრანსფერი წკიპზეა.

კიეველები აბუ-დაბიში 17 იანვარს „მოსკვას“, 23-ში კი „ციურიხს“ „წაეამხანაგურებიან“ და სწორედ ამ მატჩებში უნდა გადაწყდეს ოთარის საკითხი. მანამდე კი კიევის „დინამოს“ პრეზიდენტი იგორ სურკისი თავშეკავებით, მაგრამ იმედით ლაპარაკობს ქართველ ფორვარდზე.

„გუნდის მწვრთნელმა ანატოლი დემიანენკომ მითხრა, რომ ახალწვეულები მშვენივრად უძლებენ დატვირთვებს. ახალგაზრდა მარცვალაძეს დავაკვირდებით, მან კიდევ უნდა დაამტკიცოს, რომ „დინამოს“ ღირსია. კახა კალაძე 18 წლის იყო, როცა ჩვენ ავიყვანეთ. ასეთი ბიჭები გვჭირდება და იმედია, ქართველი ფორვარდიც გაამართლებს“ — განაცხადა სურკისმა.

როგორც იცით, კიევის „დინამოს“ მეორე გუნდშია თბილისის დინამოელი მარჯვენაფლანგელი კახა ალადაშვილი, თუმცა უკრაინული გრანდის ძირითადში მოხვედრის შანსი მასაც არ დაუკარგავს. მით უმეტეს, რომ კიევის „დინამომ“ სამი ფეხბურთელი უკვე დააყენა ტრანსფერზე და კიდევ რამდენიმესთან აპირებს დამშვიდობებას.

ილია ნანოგაშვილი

ფოფხაძემ ოლიმპიაკოსი კონტრაქტზე დააფიქრა

ტრონდ სოლიედი გიორგი ფოფხაძეს კარგი თვალით უყურებს

19 წლის ქართველი მცველი გიორგი ფოფხაძე ბერძნულ „ოლიმპიაკოსში“ ჩარიცხვასთან ძალიან ახლოსაა. ეს ამბავი გუშინ ჩვენი ნაცნობი ბერძენი კოლეგისგან, ფოტის ვოინიკასისგან შევიტყვეთ. მისი თქმით, ფოფხაძემ „ოლიმპიაკოსის“ ნორვეგიელ მწვრთნელ ტრონდ სოლიედს თავი მოაწონა და ქართველის საკითხიც მალე დადებითად გადაწყდება.

შეგახსენებთ, რომ ფოფხაძე პირეოსში 28 დეკემბერს ჩავიდა და, წინასწარი გეგმით, ათი დღე უნდა ევარჯიშა გუნდში, თუმცა ბერძნებმა ჩვენებური მეტი ხნითაც დაიტოვეს. აი, რა უთხრა ტრონდ სოლიედმა ბერძენ ჟურნალისტებს: „ქართველი ფეხბურთელით კმაყოფილი დავრჩი, იგი ძალიან პერსპექტიული ჩანს და გვინდა, გარკვეული ხნით სარეზერვო გუნდში ჩავრიცხოთ. ასე უფრო იოლად დავაკვირდები. მინდა დავრწმუნდე, რომ მას ზრდა კიდევ შეუძლია“.

მოკლედ, ფოფხაძეს პირეოსელები დღე-დღეზე მოელაპარაკებიან და შესაძლოა მოკლევადიანი კონტრაქტიც შესთავაზონ.

ვნახოთ...

კახა შალამბერიძე

მორჩა: უეფას ფიალა აევსო!

ორიოდ თვეა, ფეხბურთის ფედერაციაში ახალი სახე გამოჩნდა — ლალი ლოგჟანიძის შესახებ ჩვენში ალბათ არც არავის სმენოდა. არადა, ამ მომხიბვლელ ქალბატონს რუსული ფეხბურთის გრანდ მოსკოვის „ლოკომოტივში“ მუშაობის გამოცდილება უმაგრებს ზურგს. ქალბატონი ლალი სასიამოვნო მოსაუბრეც აღმოჩნდა. ქართულად კარგად კი საუბრობს, მაგრამ ჯერი ლიცენზირების დეტალებზე რომ მიდგა, მობოდიშებით რუსულზე გადავიდა — ყოველგვარი შეცდომის ან გაუგებრობის გამორიცხვის მიზნით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტო

— ქალბატონო ლალი, როგორ მოხვდით ამ „გაუგებრობაში“?

— ფეხბურთს გულისხმობთ? პროფესიით იურისტი ვარ. მოსკოვში ერთ-ერთი უცხოური ფირმის წარმომადგენლობაში ვმუშაობდი. მოსკოვის „ლოკომოტივის“ პრეზიდენტმა ვალერი ფილატოვმა კლუბში სამსახური შემომთავაზა და ბოლო სამი წელი „ლოკომოტივის“ იურიდიულ განყოფილებას ვხელმძღვანელობდი და ლიცენზირებაზე პასუხისმგებელი ვიყავი.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ვინ დაგაკავშირათ?

— რუსეთში დაბადებულ-გაზრდილი ვარ. ზაფხულში თბილისში ვიყავი, ფედერაციაშიც შემოვიარე და მიუხედავად იმისა, რომ ბატონი ნოდარი მაშინ თბილისში არ იყო, ჩემი მონაცემები დავტოვე. თანამშრომლობაზე ოქტომბერში შევთანხმდით. კიდევ ერთი თვე მოსკოვის „ლოკომოტივში“ საქმეების გადაბარებას დასჭირდა და ნოემბრიდან მუშაობას შევუდექი.

— როგორია პირველი შთაბეჭდილება, უკეთესი თუ უარესი, ვიდრე ელოდით?

— ძნელია, ერთ-ორ თვეში რაიმე შედეგზე ლაპარაკი. სეზონის დასრულების შემდეგ პირველ შედეგებზე ვისაუბრებთ, მაგრამ მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელი დონის მისაღწევად დაახლოებით ხუთი წელი დაგვჭირდება.

— უეფამ ლიცენზირების ახალი, გაცილებით მკაცრი პირობები წაუყენა კლუბებს...

— დღემდე ლიცენზირების დებულების ძველი რედაქციით ვხელმძღვანელობთ. 31 მარტამდე უეფაში უნდა გავიაროთ აკრედიტაცია და დავიწყოთ ახალი მოთხოვნების დანერგვა, რაც 2008-09 წლების სეზონიდან შევა ძალაში. ძველ რედაქციაში ლიცენზირების პირობების ოთხი გრადაცია არსებობდა, რომელთაგან მეოთხე რეალურად რეკომენდაციებს წარმოადგენდა. ახალი რედაქცია კი რეკომენდაციებს აღარ ითვალისწინებს და თითოეული მოთხოვნა სავალდებულოა.

— ამ მოთხოვნებით, ეროვნული ჩემპიონატის მატჩების გამართვა მხოლოდ იმ სტადიონებზე იქნება შესაძლებელი, რომლებიც სულ მცირე სამი ათასი ინდივიდუალური სკამით და განათების სისტემით იქნება აღჭურვილი. ძნელი წარმოსადგენია, ქართულმა კლუბებმა ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილება შეძლონ...

— წინ კიდევ ორი სეზონი გვაქვს და ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივიდეთ აქამდე. ლიცენზირების ახალი სისტემის თანახმად, სტადიონებს, ისევე როგორც სასტუმროებს, კატეგორიების მიხედვით ვარსკვლავები მიენიჭებათ ერთიდან ხუთამდე. შემიძლია გითხრათ, რომ სადღეისო ვითარებით ვერც ერთი ქართული სტადიონი ერთ ვარსკვლავსაც ვერ მიიღებს. ჩვენთან ასეთი დამოკიდებულებაა ფესვგადგმული: არა უშავს, შეღავათს გაგვიწევენ და არ დაგვსჯიან. შემიძლია ახლავე განვაცხადო, რომ შეღავათები აღარ იქნება. ამას ბევრი საფეხბურთო ჩინოსანი მხოლოდ მაშინ დაიჯერებს, როცა კონკრეტული კლუბის დასჯის პრეცედენტი შეიქმნება.

— შეიძლება იქამდე მივიდეთ, რომ ეროვნულ ჩემპიონატში საშინაო მატჩები რამდენიმე გუნდმა ერთ სტადიონზე გამართოს?

— არა, უეფა ამ მხრივაც გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს და თუ საქმისადმი დამოკიდებულება არ შეიცვალა, ორი წლის შემდეგ საქართველოში ფეხბურთი საერთოდ აღარ იარსებებს. ნაკრებში უცხოელი მწვრთნელის დანიშვნა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ საკლუბო ფეხბურთის მოწესრიგების გარეშე შედეგის მიღწევა მასაც გაუჭირდება.

შედგენილი გვაქვს გარკვეული გრაფიკი და ვხვდები კლუბების მეპატრონეებს — ხალხს, რომლებიც ფულს დებენ ამ საქმეში. პირველ რიგში მათ გვინდა ავუხსნათ, რომ სწორი მენეჯმენტის, ლიცენზირების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში გახდება ეს ბიზნესი რენტაბელური. განა სასაცილო არ არის, რომ ჩვენი ჩემპიონატის თამაშებზე ბილეთები არ იყიდება? ესეც უეფას ერთ-ერთი მოთხოვნაა და მისი შესრულებაც მოგვიწევს. იყოს თუნდაც სიმბოლური ფასი, 50 თეთრი, მაგრამ ბილეთები უნდა დაიბეჭდოს და გაიყიდოს — ამის გარეშე კლუბები ლიცენზიას ვერ მიიღებენ.

რამდენიმე წლის წინ მოსკოვის „ლოკომოტივი“ ანალოგიური პრობლემების წინაშე იდგა. გუნდს ფაქტობრივად არ ჰყავდა გულშემატკივარი. სწორი მენეჯმენტის წყალობით ვითარება კარდინალურად შეიცვალა და ამ მხრივ „ლოკომოტივი“ დღეს რუსეთში სამაგალითოა.

— მათი და ჩვენი ფინანსური შესაძლებლობების შედარება ძნელია...

— გეთანხმებით და ამიტომაც მიმაჩნია, რომ სახელმწიფოს დახმარების გარეშე შედეგის მიღწევა გაგვიჭირდება. უკრაინის მაგალითსაც მოვიყვან: სახელმწიფო გრძელვადიან საფეხბურთო პროგრამას აფინანსებს და ამისთვის სერიოზული სუბსიდიებია გამოყოფილი. ფედერაცია თავის მხრივ ეხმარება კლუბებს. განათლების სამინისტრომ სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილებზე ფეხბურთი სავალდებულო გახადა გოგონებისთვისაც და ბიჭებისთვისაც. ამგვარი თანამშრომლობის შედეგს თავადაც ხედავთ: უკრაინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს, კლუბები კი რეგულარულად მონაწილეობენ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში.

საქართველოში ბევრი ძლიერი სამშენებლო ფირმაა, რომლებიც ლუქსის ტიპის საცხოვრებელ კორპუსებს აშენებენ. ხომ შეიძლება, მშენებლობის ნებართვის გაცემისას მათ სავალდებულო პირობად კორპუსთან ერთი მინიმოედნის მოწყობაც წავუყენოთ? ეს დიდ ფინანსურ დანახარჯებთან ნამდვილად არ იქნება დაკავშირებული, მაგრამ ეს კორპუსები ისე მიჯრით შენდება, საფეხბურთო მოედანს ვინ ჩივის, ბავშვებს ეზოში დასაჯდომი ადგილიც არ რჩებათ.

— ბავშვთა ფეხბურთი ახსენეთ. ლიცენზირების პროცესი ამ მხრივაც სერიოზულ ცვლილებებს ითვალისწინებს...

— კლუბები ვალდებულნი იქნებიან, ოთხი ასაკობრივი გუნდი იყოლიონ: ორი 15-დან 21 წლამდე ასაკში, ერთი 10-დან 14 წლამდე და ერთი 10-წლამდელთათვის. ყველაზე პატარების გუნდის მონაწილეობა რაიმე სახის ტურნირში სავალდებულო არ არის, მაგრამ გუნდის ყოლა აუცილებელია.

— არის ასეთი მოსაზრებაც, რომ ფიფა და უეფა კონსერვატიული ორგანიზაციებია: მუდმივად იმუქრებიან, მაგრამ ბოლოს მაინც აწესებენ გარკვეულ შეღავათებს...

— ფიფას შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ უეფა ამ მხრივ გაცილებით მკაცრი და თანმიმდევრულია. ამიტომაც არის ფეხბურთი გაცილებით მაღალ დონეზე განვითარებული ევროპაში, ვიდრე სხვა კონტინენტებზე. რაც შეეხება დანდობას და შეღავათებს, აქაც არსებობს რაღაც ლიმიტი და ეს ლიმიტი ალბათ უკვე ამოწურულია. წინ ორი სეზონი გვაქვს და მჯერა, შეთანხმებული მუშაობით ვითარების მკვეთრად გაუმჯობესებას მაინც შევძლებთ.

— თქვენი ოპტიმიზმი იმის დამსახურებაც ხომ არ არის, რომ ქართულ ფეხბურთში მუშაობის არცთუ დიდი სტაჟი გაქვთ?

— მთავარია საქმის კეთების ნება და სურვილი. თუ არ გჯერა იმ საქმის, რომელსაც აკეთებ, შედეგამდე ვერ მიხვალ. მე მჯერა.

გიორგი ნოზაძე

გია აბაზაძე

მძიმე სურათი

სიონის დირექტორი დააკავეს

სამწუხაროდ, ქართულ ფეხბურთს ცუდი ამბები არ ელევა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ბოლნისის „სიონის“ გენერალური დირექტორი გია აბაზაძე დააკავეს.

ეს მოხდა გუშინ თბილისში, ორთაჭალის ერთ-ერთ ავტოგასამართ სადგურზე, მიზეზი კი... აბაზაძეს ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი აღმოუჩინეს.

„სიონის“ გენერალურ დირექტორთან ერთად დაკავებულია ოთხი პირი, მათ შორის, ბოლნისური კლუბის მენეჯერი ტარიელ აბრამია. თუმცა აბრამია მალევე გაათავისუფლეს და შესაძლოა, ფულადი და ადმინისტრაციული ჯარიმა დააკისრონ — სოდ-ის ცნობით, შემოწმების შედეგად იგი ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

ბათუმი მადაზეა

ნაკანი თითქმის გადაწყდა, რიგში დინამოური სამეულია

„ბათუმმა“ საზამთროდ ბლომად შენაძენი გაახერხა და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მეორე წრეში ოთარ გაბელიას მომძლავრებული გუნდი ეყოლება. ზღვისპირელებმა ბევრი ფეხბურთელი კი გაუშვეს, მაგრამ ნამატი გაცილებით უკეთესია: თბილისის „ლოკომოტივიდან“ გადაყვანილი ხუთეული, პლუს ბორჯომელი რევაზ ჯიქია და მოსკოვის „ტორპედოს“ დუბლებში ნათამაშები, 22 წლის ფორვარდი დავით ნაკანი.

ოთარ გაბელიამ გვითხრა, ნაკანის საკითხი თითქმის გადაწყვეტილიაო. „ბათუმის“ თავკაცს თბილისის „დინამოდან“ მეკარე ირაკლი თოთლაძის და თავდამსხმელ მიხეილ კაკალაძის გადაყვანაც სურს. როგორც იცით, ეს ორნი თბილისელებს ეკუთვნიან, თუმცა პირველი წრე სწორედ ზღვისპირეთში გაატარეს.

გარდა ამისა, „ბათუმს“ კიდევ ერთი დინამოელი თავდამსხმელი, ახალგაზრდა ვლადიმერ დვალიშვილი აინტერესებს. გაბელიამ, ორ დღეში თბილისელები ამ ფორვარდის თაობაზე პასუხს გვეტყვიანო.

ილია ნანოგაფვილი

დილას მხოლოდ ჯარი თუ გაუთენებს



ვლადიმერ ხაჩიძე

გორის „დილაში“ ისევ გაურკვევლობაა, თუმცა რაღა გაურკვევლობა — ფეხბურთელების მიმხედი არავინაა, რაც პირდაპირ იმას ნიშნავს, გუნდი აღარ გვჭირდებაო. ერთადერთ გამოსავლად ის რჩება, „დილა“ თავდაცვის სამინისტრომ შეიფაროს, რაზეც გორში ბევრს ლაპარაკობდნენ და ირაკლი ოქრუაშვილის ეიმედებოდათ. ამაზე ადრეც ვწერდით, მაგრამ რეალური ჯერ არაფერი ხდება.

ვლადიმერ ხაჩიძის „გუნდი“ გუშინ შეიკრიბა, ბრჭყალები კი იმად გამოვიყენეთ, რომ მხოლოდ შვიდმა ფეხბურთელმა იძუნძულა, თავად ხაჩიძე კი A კატეგორიის სალიცენზიო კურსებს ესწრება თბილისში და გორში 14 იანვარს ჩავა.

ილია ნანოგაფვილი

ნაციონალური მოძრაობის ნათლული მგლები

ლაშა დარასელია: ზუგდიდში ფეხბურთს არ ჩავკლავთ

ქვეყნისა და ფეხბურთის ხელმძღვანელების მცდელობა, აღუდგინონ ჩვენს ფეხბურთს ძველი სახელი, რა თქმა უნდა, იმედის მომცემია. ამის დასტურია საქართველოს ნაკრების მწვრთნელად მაღალი რანგის უცხოელი მწვრთნელის, კლაუს ტოპმიოლერის მოწვევაც. წარმატებას ძლიერ მწვრთნელთან ერთად ძლიერი ფეხბურთელებიც სჭირდება და თუ რამხელა ძალას იღებდა ქართული ფეხბურთი წლების განმავლობაში რეგიონებიდან, ვფიქრობთ, ამას ბევრი ახსნა არ სჭირდება...

ლაშა დარასელია

გვინდა გაგაცნოთ საქართველოს რეგიონული ლიგის სამეგრელოს ზონის ლიდერი და ნამდვილი აღმოჩენა — ჭაბუკი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული (1988-91-წლიანები) გუნდი „მგლები“.

ალბათ გაინტერესებთ, რას ნიშნავს ამ წერილის სათაური. პარლამენტის წევრ ლაშა დარასელიასა და ზუგდიდის ნაციონალური მოძრაობის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ვახტანგ ცხადაიას განზრახვა, ზუგდიდში ბავშვთა ფეხბურთს დახმარებოდნენ, საქმედ ძალიან მალე იქცა.

ისინი ადრეც ხშირად ესწრებოდნენ ვარჯიშებსა და თამაშებს და ბავშვების კარგი თამაშით კმაყოფილ ვახტანგ ცხადაიას უთქვამს, ეს რა მგლები გვეზრდებიანო. სწორედ აქედან გაჩნდა გუნდის ჩამოყალიბების იდეა, რომელიც რეალობად ლაშა დარასელიამ აქცია. ვალში არც რეგიონული ნაციონალური მოძრაობა დარჩენილა — ეს პარტია დღემდე ზრუნავს გუნდის საკეთილდღეოდ.

ალბათ უინტერესო არ უნდა იყოს „მგლების“ დამფუძნებელ *ლაშა დარასელიას* აზრი და ჩვენც მას ინტერვიუ ვთხოვეთ...

— რამ განაპირობა თქვენი ფეხბურთით დაინტერესება? გადაწყვიტეთ, როგორც პარლამენტარმა ხელი შეუწყოთ თქვენს ქალაქში ფეხბურთის აღორძინებას თუ ეს წმინდა კომერციული თვალსაზრისით გააკეთეთ?

— გამოგიტყდებით, ჩემი ბავშვობის ოცნება იყო, მყოლოდა საკუთარი საფეხბურთო კლუბი და საერთოდ, ვალდებულიც ვარ, ჩემს ქალაქში ფეხბურთის აღორძინებას ხელი შევუწყო.

— დღემდე რისი გაკეთება შეძელით?

— მეგობრების დახმარებით მოვიძიე სპონსორი, რომლის ფინანსური შესაძლებლობები საშუალებას მაძლევს, ხელოვნურსაფარიანი მოედნებიც კი მოვაწყო. გუნდში სახელფასო დავალიანებებზე საუბარიც ზედმეტია.

— თქვენი აზრით, რამდენად ძლიერ საყრდენს წარმოადგენს ეს სპონსორი?

— გარკვეული თვალსაზრისით, ამ ეტაპზე მათი დასახელებისგან თავს შევიკავებ. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ესაა ქართველ და უცხოელ ბიზნესმენთა ჯგუფი.

— როგორია თქვენი სამომავლო გეგმები და რამდენად სოლიდური გუნდის ჩამოყალიბებას ფიქრობთ?

— გუნდის რეგიონულ ლიგაში მონაწილეობით ჩვენი მიზანი იყო ჭაბუკი ფეხბურთელების ჩემპიონატში ადაპტაცია და გამოცდილების მიღება, მაგრამ სპონსორის გამოჩენამ და ჩემპიონატის პირველი წრის შედეგებმა მოგვცა საფუძველი — ახლავე ვიზრუნოთ პირველ ლიგაში გადასვლაზე. მოკლე დროში ბიჭებმა შეძლეს, ერწმუნათ საკუთარი ძალების და სათანადო ხელშეწყობით მათი პროგრესი აშკარაა. შემუშავებული გვაქვს სამოთხწლიანი ციკლი, რათა კლუბი უმაღლესი ლიგაში გადავიყვანოთ და მერე იქაც ღირსეულად თამაში შეძლოს.

ბატონ ლაშასთან საუბრის მერე ზუგდიდელი მგლების მწვრთნელ ელგუჯა ქომეთიანსაც გავესაუბრეთ...

— როგორ მოხდა გუნდის დაკომპლექტება?

— შეიძლება ითქვას, „მგლების“ უკლებლივ ყველა ფეხბურთელი 1997 წლიდან ჩემ ხელში გაიზარდა.

— ხართ თუ არა კმაყოფილი ჩემპიონატის პირველი წრის შედეგით?

— ფეხბურთელთა ასაკიდან გამომდინარე, შედეგითა და თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვერ ვიქნები, რადგან გუნდს აშკარა პროგრესი ეტყობა.

— როგორ ემზადებით ჩემპიონატის მეორე წრისთვის?

— ათ იანვარს დავიწყეთ მზადება, თვის ბოლოს კი ორკვირიან შეკრებას გავივლით ქობულეთში, სადაც რამდენიმე საკონტროლო თამაშსაც გავმართავთ.

— რა მიზნებს ისახავთ და ხომ არ ფიქრობთ გუნდის გაძლიერებაზე?

— ჩვენი მიზანი ფეხბურთელების დაოსტატებაა. „მგლებს“ ჰყავს სამი ასაკობრივი გუნდი და შევსებას სწორედ იქიდან მივიღებთ. არ გამოვრიცხავთ ორი-სამი გამოცდილი ფეხბურთელების დამატებასაც. ჩვენ პირველ ლიგაში გადასვლა გვინდა.

გელა ნაჭყებია
ზუგდიდიდან

ს.კ. მგლები ზუგდიდი

დამფუძნებელი ლაშა დარასელია
დირექტორი რევაზ პერტაია
გუნდის უფროსი კახა ახალაია
მთავარი მწვრთნელი ელგუჯა ქომეთიანი
მწვრთნელი ზაალ ბულია

მეკარეები: *რადიონ მაქაცარია (1989 წ), ლევან ბესელია (1990 წ);*
მცველები: *ლაშა სვირავა (1989 წ), მამუკა აქუბარდია (1988), ნიკა ხუხია (1988 წ), ირაკლი ჯღარკავა (1988 წ), გიორგი ჩახაია (1989 წ), დათა როგავა (1991 წ), გიორგი აკობია (1990 წ);*
ნახევარმცველები: *გიორგი კუტალია (1989 წ), პაპუნა ქომეთიანი (1988 წ), ლევან წურწუმია (1989 წ), კობა შონია (1989 წ), უჩა ლატარია (1989 წ), ნიკა ძალამიძე (1992 წ), დიევო კვარაცხელია (1989 წ), ალიკა წულაია (1988 წ);*
თავდამსხმელები: *გიორგი გაბედავა (1989 წ), ირაკლი ეხვაია (1989 წ), დათა რაფავა (1991 წ), ლევან ბუაკა (1989 წ).*

„მგლები“ (1990 წ): მწვრთნელები — ოთარ ძალამიძე, ოთარ თუთბერიძე
„მგლები“ (1991-92 წწ): მწვრთნელები — თამაზ როგავა, მამუკა ჭაჭუა
„მგლები“ (1993-94 წწ): მწვრთნელები — მარლენ ქომეთიანი, ნუკრი ნაჭყებია.

ერთი წლის წინ თომას გრავესენი „რეალმა“ დიდის ამბით გადაიყვანა

გრავესენი მადრიდს შორდება

„რეალის“ დანიელი ნახევარმცველი თომას გრავესენი მადრიდიდან წასასვლელად ემზადება.

გრავესენი ერთი წლის წინათ გადავიდა „რეალში“ „ევერტონიდან“ და ახლა ეგებ თავის ძველ კლუბს დაუბრუნდეს. ამ სეზონში ის მხოლოდ ხუთჯერ მოხვდა მადრიდელთა სასტარტოში.

„მე თამაში მინდა, უქმად ვერ გავჩერდები — თქვა 29 წლის ფეხბურთელმა — ჩემი აგენტი მუშაობს და სანამ სატრანსფერო ფანჯარა დაიხურება, წავალ“.

გრავესენს სამწელიწადნახევრიანი კონტრაქტი აქვს „რეალთან“.

ირაკლი გამყრელიძე

კრისტიანული ნელი: სიახლე ექვს თვეში

კრისტიან ვიერი „მონაკოში“ 2007 წლამდე ითამაშებს

AFP

მორჩა და გათავდა — ცნობილმა იტალიელმა თავდამსხმელმა კრისტიან ვიერიმ „მილანთან“ ექვსთვიან ურთიერთობას „მონაკოში“ გადასვლით დაუსვა წერტილი. შეთანხმება მოლაპარაკების მონაწილე სამ მხარეს, კლუბებსა და საკუთრივ ფეხბურთელს შორის დასრულებულია. გუშინ თავდამსხმელი საგრაფოში გაემგზავრა, სადაც სამედიცინო შემოწმება გაიარა. ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ვიერი „მონაკოს“ ფეხბურთელი გახდა, 2007 წლამდეა ძალაში.

ასე და ამგვარად, ავსტრალიაში დაბადებულ-გაზრდილი 33 წლის ვარსკვლავი შეუერთდა საფრანგეთის ჩემპიონატს, კერძოდ კი გუნდს, რომელსაც სათავეში მისი თანამემამულე, იტალიელი მწვრთნელი ფრანჩესკო გვიდოლინი უდგას და რომლის შემადგენლობაშიც კიდევ ორი იტალიელი, მეკარე ფლავიო რომა და თავდამსხმელი მარკო დი ვაიო თამაშობს. როგორც გუშინ მოგახსენეთ, ვიერი, რომელიც „მილანში“ „ინტერიდან“ გასულ ზაფხულს გადავიდა, „შავ-წითელთა“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და შესაბამისად, მსოფლიოს მოახლოებულ ჩემპიონატზე გამგზავრების შანსი ძალიან მცირეა ჰქონდა.

კონტრაქტის ღირებულებისა და ფეხბურთელის ხელფასის შესახებ მხარეები ჯერჯერობით არაფერს იტყობინებიან.

პაპუნა კედია



ანტონიო კასანოს კლაუდიო რანიერიმ არჩევანი მოუწონა

AFP

ინგლისური „ჩელსის“, ესპანური „ვალენსიას“ და იტალიური კლუბების ყოფილი მწვრთნელი, კლაუდიო რანიერი ამბობს, დიახ, მადრიდის „რელმა“ „რომასგან“ ანტონიო კასანო იყიდა და ეს ძალიან კარგია, მაგრამ „ბარსელონას“ მაინც ველარ დაეწევაო

ფენომენალური ფეხბურთელი, მაგრამ ოცნების გუნდი

რანიერი კასანოს აქებს და ბარსელონას ადიდებს

„კასანო დიდებული ფეხბურთელია, მას ფენომენალური თვისებები აქვს. ეს ბიჭი ბურთს უდიდესი ვარსკვლავივით აკონტროლებს. მან ზუსტად იცის, რა როგორ აკეთოს და არც ისეთი შერეკილია, ხალხს რომ ჰგონია. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ კასანო მადრიდის „რეალს“ დიდ სასარგებლო საქმეს გაუკეთებს“ — განაცხადა იტალიელმა ტაქტიკოსმა ესპანურ გაზეთ „მარკასთან“ საუბარში.

შეგახსენებთ, რომ ანტონიო კასანო იტალიის დედაქალაქიდან ესპანეთის დედაქალაქში 6,65 მილიონ დოლარად ერთი კვირის წინ გადაბარგდა და ფიზიკური ფორმის აღსადგენად საგანგებოდ მისთვის შექმნილი პროგრამით ვარჯიშობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ფორვარდს ბარძაყის კუნთი აქვს ცოტათი ეაჭიმული და ეს პრობლემაც მისახედია. შეგახსენებთ იმასაც, რომ „რეალს“ ბოლო შეხვედრებში გოლების გატანა უჭირს, რადგან რაულიც დაშავებული ჰყავს და რონალდოც და საერთოდაც, ჩემპიონატში საქმე სახარბიელოდ ნამდვილად არ აქვს — ლიდერ „ბარსელონას“ მთელი 13 ქულით ჩამორჩება. და სწორედ „ბარსას“ დაწევა მიაჩნია რანიერის ევროპის ჩემპიონთა თასის 9-გზის მფლობელთათვის შეუძლებელ ამოცანად:

„მადრიდელთა დღევანდელი მდგომარეობა ნამდვილად არ მიკვირს, რადგან ამქვეყნად ყველაფერი ციკლურია, ხოლო ისინი ძალიან დიდი ხანი იყვნენ მწვერვალზე. გარდა ამისა ამწუთას „ბარსელონა“ არის ძალიან ძლიერი. მე თუ მკითხავთ, დღეს, ევროპაში საუკეთესო ფეხბურთს სწორედ „ბარსელონა“ თამაშობს. მათ ყველაფერი აქვთ, ახალი ეპოქის ოცნების გუნდად რომ ჩამოყალიბდნენ“.

პაპუნა კედია

ევერტონი სტამბოლს გასცქერს

ნიკოლა ანელკა

ვინ გააძლიერებს წლეულს უიღბლო „ევერტონს“ და ნიკოლა ანელკას. მერსისაიდელთა მენეჯერმა დევიდ მოიესმა თავის სასურველ ფეხბურთელთა სიაში პირველ ნომრად სწორედ მოხეტიალე ფრანგი მეგოლე ჩაწერა.

ნიკოლა ანელკა მხოლოდ ერთი წლის წინ გადავიდა თურქულ „ფენერბაჰჩეში“ 5,3 მილიონ გირვანქად და თურქეთის ყველაზე პოპულარული კლუბი მას ნაკლებ ფასად არ შეელევა.

„მგონია, რომ სტამბოლს ზაფხულში, ან სულაც მანამდე დავტოვებ. კლუბმა ჩემი პოზიცია იცის. „ფენერში“ იმიტომ ჩამოვედი, რომ ჩემპიონთა ლიგაში მეთამაშა და გუნდს პირველი წრე დაეძლია. ეს არ გამოვიდა. თუ დარჩენაა, დავრჩები, მაგრამ თუ წასვლაა, ინგლისში წავალ“ — თქვა ფეხბურთელმა.

ანელკა 26 წლისაა. მსოფლიოში სახელი „არსენალში“ თამაშით დაიგდო, სადაც ორსეზონნახევარი გაატარა. 1999 წელს ის მადრიდის „რეალში“ გადავიდა, მერე „პარი სერ ჟერმენში“. ჯამში ეს ტრანსფერები 58 მილიონი გირვანქის ოდენობისა იყო. მერე ივი ნახევარი წლით „ლივერპულმა“ იქირავა, ბოლოს კი „მანჩესტერ სიტიში“ აღმოჩნდა.

„ევერტონის“ ფინანსური გაქანების გუნდისთვის ნიკოლა ანელკას გადაბირება დიდი გამოწვევაა, მისნაირი ფეხბურთელი კვირაში 50 ათას გივარქზე ნაკლებ ხელფასს არ დასჯერდება.

ირაკლი გამყრელიძე

იყიდება

1998 წელს გამოშვებული VOLKSWAGEN PASSAT 1.9 TDI ძრავით,

ნორმალურ მდგომარეობაში, 2000 წელში ჩამოყვანილი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 8 99 90 08 68



მართლა ასეთია ლიონი?



გრეგორი კუპე: ორი „ოლიმპიკის“ დაპირისპირება მუდამ საინტერესოა

დღეს ფრანგულ ფეხბურთში რევიზიაა — „მარსელმა“ უნდა შეამოწმოს, მართლა ამხელა უპირატესობა აქვს დანარჩენებთან შედარებით „ლიონს“, თუ ეს უძლეველობა გაზვიადებულია.

„ორი „ოლიმპიკის“ დაპირისპირება ყოველთვის საინტერესო სანახავია“ — განაცხადა საფრანგეთის ნაკრებისა და „ლიონის“ მეკარემ გრეგორი კუპემ. შეგახსენებთ, რომ როგორც მარსელის, ასევე ლიონის გუნდებს „ოლიმპიკი“ ჰქვია — „მარსელი“ ჩვენი კონკურენტთაგანი იმიტომაა, რომ მას ჯილდოებისთვის მებრძოლთა შორის ადგილის შენარჩუნება სურს, ჩვენ კი შინ წაგებას არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებთ. ერთი სიტყვით, რაც ახლა მოგახსენეთ, დიდი მატჩისთვის კარგი წინაპირობაა“.

მაშ ასე, „ლიონი“ საუცხოო წარმატებათა პერიოდის მწვერვალზე ხვდება ერთადერთ ფრანგულ გუნდს, რომელსაც ოდესმე ჩემპიონთა ლიგა მოუგია. შეგახსენებთ, რომ ლიონელები სეზონის პირველი ნახევრის განმავლობაში თვალსაჩინოდ სჯობდნენ დანარჩენ გუნდებს, მდევარ „ოსერს“ ცხრილში 12 ქულით უსწრებენ და ჯიქურ მიწევენ უპეცედენტო შედეგისკენ, საფრანგეთის ჩემპიონის ზედიზედ მეხუთე ტიტულისკენ. გარდა ამისა, „ლიონმა“ წაგების გარეშე დასძლია ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე შეჯიბრების ჯგუფური ეტაპი და პლეი ოფშია გასული.

აღსანიშნავია, რომ ლიონელები ტრავმებმაც ძლიერ დაინდო და საღღეისოდ, მათი ერთადერთი დანაკლისი სენეგალელი მცველი ლამინ დიატაა, რომელიც 20 იანვრიდან ეგვიპტეში, აფრიკის ეროვნებათა თასისთვის ბრძოლაში ჩაებმება.

აი, „მარსელს“ კი ჩემპიონატის მსვლელობისას უკვე ხუთი მოთამაშე ჰყავს დაშავებული. ესენია სენეგალელები, ჰაბიბ ბეიე და მამადუ ნიანგი, ნიგერიელები ტაი ტაივუ და უილსონ ორუმა და გასულ კვირას დაშავებული აბდულაიე შეიტე კოტ დივუარიდან.

„მარსელი“ ჩემპიონატის ამჟამინდელ ცხრილში მეშვიდე ადგილზეა, თან, ბოლო რვა შეხვედრაში არ დამარცხებულა, რაც უდავო პროგრესის მანიშნებელია.

მარსელელთა მცველი ფრედერიკ დეუ: „ლიონის“ წინააღმდეგ თამაში ყოველთვის დიდი გამოწვევაა“.

რაც შეეხება სტატისტიკას, ის ასეთია: „მარსელმა“ 2003-2004 წლების სეზონში ლიონში გაიმარჯვა, ხოლო პირველ ტურში, ცნობილ „ველოდრომზე“, თამაში 1:1 დასრულდა.

„ოსერი“ დღეს ბორდოში თამაშობს, ხოლო „პარი სენ ჟერმენი“ ხვალ ტულუზში გაარკვევს თავისი ქულების ამბავს.

პაპუნა კვედია

ანდრეი შევჩენკო ახლა ლეგენდარულ ჯანი რივერას ჩაუდგა კვალში

AFP

შევჩენკო ალტაფინის ტოლია

იტალიური „მილანის“ ფორვარდი ანდრეი შევჩენკო კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია და მალე ალბათ „როსონერის“ ყველა დროის მეგოლეთა შორის მეორე ადგილსაც დაისაკუთრებს. გასულ უქმეებზე, „პარმას“ კარში გატანილი ბურთი უკრაინელისთვის 161-ე გამოდგა „შავ-წითელი“ მაისურით და ამ მაჩვენებლით იგი ლეგენდარულ ბრაზილიელ ჟოზე ალტაფინის გაუტოლდა, რომელთანაც მესამე-მეოთხე პოზიციას იყოფს.

ახლა შევჩენკოს, სულ რაღაც სამი გოლი აკლია, რათა მეორეადგილოსან ჯანი რივერას გაუტოლდეს. მარტივი არითმეტიკული გამოთვლითაც მიხვდებით, რომ იტალიელ „ოქროს ბიჭუნას“ „მილანის“ რიგებში 164 გოლი აქვს გატანილი. პირველ ადგილზე კი დაუვიწყარი შვედი ფორვარდი გუნარ ნორდალია 221 ბურთით.

უშუალოდ სერია A-ში გატანილი გოლების რაოდენობთ ანალოგიკური ვითარებაა — ნორდალის ანგარიშზე 210 ბურთია. შემდეგ რივერა მოდის 122 გოლით, ალტაფინი 120-ით და შევჩენკო 118-ით.

კოკი კანდელაკი

ინტერმა ახალი კანეტი იყიდა

დუგლას მაიკონი „ნეროაძურის“ მაისურს ზაფხულში მოირგებს

მილანის „ინტერი“ უკვე მომავალ სეზონზე ზრუნავს და ერთი ტრანსფერიც გაჩარხა. ახალი სეზონიდან „ნეროაძური“ დუგლას მაიკონით გაძლიერდება, „მონაკო“ კი 24 წლის ბრაზილიელ მცველში 4 მილიონ გირვანქას მიიღებს.

მაიკონი ორშაბათს მილანში იყო, სამედიცინო შემოწმება გაიარა და „ინტერთან“ ოთხწლიანი, წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. „კრუზეიროს“ ყოფილი მცველი „სან სიროზე“ „ნეროაძურის“ ვეტერანი კაპიტნის, ხავიერ ძანეტის შემცვლელად ესახებათ.

სამშობლოში მაიკონს კაფუს ადარებენ. იგი ძალიან სწრაფია და ხშირად ერთვება შეტევებში. კარგა ხანია, რაც მან „მონაკოში“ თავი გამოიჩინა და მრავალი გრანდი უტრიალებდა.

„იგი ფენომენალური მარჯვენა მცველია. ასეთ ფეხბურთელს იშვიათად ნახავთ. მისი შეძენა კლუბს ნამდვილად გააძლიერებს“ — თქვა „ინტერის“ ლიდერმა და მაიკონის თანამემამულემ ადრიანომ.

აღსანიშნავია, რომ მილანელებს მაიკონის დამატება იანვარშივე სურდათ, მაგრამ კლუბში არაევროკავშირელი ფეხბურთელების ლიმიტი უკვე შევსებულია.

კოკი კანდელაკი

გუშინ პატრის ევრა „მანჩესტერის“ ფეხბურთელი ოფიციალურად გახდა

საერიკო კარიერის იმედით

საფრანგეთის ნაკრების მცველი პატრის ევრა „მონაკოდან“ სამნახევარი წლით „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდა. მხარეები სატრანსფერო თანხას მალავენ, მაგრამ 24 წლის ფეხბურთელს საქმეში ჩართვა დაუყოვნებლივ შეუძლია.

აღსანიშნავია, რომ ევრას ინგლისური კლუბის გარდა იტალიური „ინტერიც“ ეპატიჟებოდა, მაგრამ გასულ კვირას თავად მოთამაშემ პრემიერლიგა ამჯობინა. მიზეზი: იგი თანამემამულე ერიკ კანტონას დიდი მანჩესტერული კარიერით გახლდათ მოხიბლული.

„მანჩესტერ იუნაიტედს“ კი ევრა იმიტომ დასჭირდა, რომ მიმდინარე სეზონის დასაწყისში გაბრიელ ჰაინცე დიდი ხნით დაუშავდა და მისი სრულფასოვანი შემცვლელი დასჭირდა.

„იგი საუცხოო ასაკისაა და როგორც ფეხბურთელი, ჯერ კიდევ იზრდება — დაწერა მანჩესტერელთა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა კლუბის საინტერნეტო ვებგვერდზე — ჩვენ მას მთელი სეზონის განმავლობაში ვაკვირდებოდით და ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა“.

პატრის ევრა გახლავთ მეორე მცველი, რომელიც საახალწლო სატრანსფერო ფანჯრის გაღების შემდეგ გადავიდა „ოლდ ტრეფორდზე“ — პირველი გახლდათ მოსკოვის „სპარტაკისგან“ ნაყიდი სერბი ნემანია ვიდიჩი.

პაპუნა კვედია

რობერ გავეტარე ზამთრის არდადეგები ორ საათზე ფრედერიკთან ვიკრიბებით

ფრანგული „ლე მანის“ მწვრთნელი ფრედერიკ პანცი ორიგინალურობით გამოირჩევა. მას შეუძლია, ვარჯიში დილის ექვს საათზე დანიშნოს და ფეხბურთელები გააოგნოს. კიდევ — მატჩის წინ ფეხბურთელები ბნელ ოთახში შეკრიბოს და იქ დაარიგოს, ასე უფრო ყურადღებით მისმენონ.

„ლე მანის“ მწვრთნელმა საახალწლოდაც უცნაური რამ მოიფიქრა. 1 იანვარს, ღამის 2 საათზე მოთამაშეები დაპატიჟა, თითო ჭიქა შამპანური დაალევინა და დასაძინებლად წასვლა უბრძანა, სამ დღეში თამაში გვექნებაო.

არანაკლებ ორიგინალური ყოფილა „ჰერტას“ სპორტული დირექტორი დიტერ ჰეინესი: მეორე წრის დაწყებამდე მან ფეხბურთელებს დავალა, დაწერონ თემა — „როგორ გავაუმჯობესებდი გუნდს“. დირექტორს საშინაო დავალება ყველამ უნდა ჩააბაროს.

„ზოგმა ეგებ ხუთი ფურცელი დაწეროს, ზოგმა კი — ორი სიტყვა, მაგრამ მთავარია, რომ მათ იფიქრონ გუნდზე“ — განაცხადა ჰეინესმა.

ვაჟა ხუციშვილი

ფეხბურთის რუკასთან

იტალიური „პალერმო“ თავდასხმის გაძლიერებას „ტრიესტინას“ ფორვარდით დენის გოდეაშით აპირებს. სიცილიელთა პრეზიდენტ მაურიციო ძამპარინის დღემდე ვერ მოუნელებია ლუკა ტონის გაყიდვა და მის შემცვლელს ეძებს. ამჟამად 30 წლის გოდეაში სერია B-ში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოთამაშეა. „ამ ტრანსფერზე კიდევ ერთხელ ოთხშაბათს ან ხუთშაბათს ვისაუბრებთ“ — თქვა „ტრიესტინას“ პრეზიდენტმა ფლავიანო ტონელოტიმ.

ინგლისური „ფულემის“ გოლკიპერმა ენტონი უორნერმა ტრინიდადი და ტობაგოს ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვა. ცხადია, მას აფრიკელებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობის პერსპექტივა ხიბლავს. უორნერის მამა ტრინიდადი და ტობაგოშია გაზრდილი, ხოლო თავად მეკარე ინგლისში დაიბადა და ნამდვილი სამშობლო ბოლო 15 წელი არ უნახავს. შესაბამისად, არც მოქალაქეობა აქვს, მაგრამ სჯერა, რომ ეს პრობლემა არ არის.

რუსულ პრემიერლიგაში მალე შეიძლება კორეელი ლეგიონერები გამოჩდნენ. „ზენიტთან“ ერთად 26 წლის ხუან იუნ მინი ვარჯიშობს. ხოლო „რუბინში“ 19 წლის ხუან ჩონ რიუსა და 20 წლის სან კი კანას სინჯავენ. კლუბები საბოლოო გადაწყვეტილებას ალბათ კვირის ბოლომდე მიიღებენ.

იტალიური „პარმას“ ხელმძღვანელობამ აღნიშნა, რომ ფაბიო სიმპლისიოთი დაინტერესებულ კლუბებს 8 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ. სხვა სახის შეთანხმებაზე „ენიო ტარდინის“ ბინადრები თანახმანი არ არიან. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ „პალერმო“ სიმპლისიოში 3,5 მილიონ ევროს იხდიდა და პლუს რუმინელ ნახევარმცველ პოლ კოდრიას ამატებდა.

კოლუმბიის ნაკრებისა და ემირატების „ალ-ჯაზირას“ 27 წლის ნახევარმცველი ელსონ ბესერი ჯერჯერობით უცნობმა პირებმა მოკლეს. ეს სამწუხარო ინციდენტი მედელინის ერთ-ერთ ღამის კლუბ „კარტახენაში“ მოხდა. სამშობლოში საახალწლო შვებულებისას დაბრუნებულ ბესერს რამდენიმე პიროვნებასთან შელაპარაკება მოუვიდა, რასაც საბედისწერო გასროლა მოჰყვა.

ინგლისური „ლივერპულის“ ფორვარდი ფლორენ სინამა-პონიოლით ერთბაშად ოთხი კლუბია დაინტერესებული: „მანჩესტერ სიტიმ“ უკვე გაამზადა კონტრაქტი 21 წლის თავდამსხმელისთვის, ხოლო „ოსერი“, „ნანტი და „ნანსი“ მას სამშობლოსკენ ექაჩებიან. „არც ისე ხშირად ვთამაშობ და ამ საკითხზე კლუბის თავკაც რაფაელ ბენიტესს უნდა ვესაუბრო. გადაწყვეტილების მიღება ამის მერე უფრო გამიადვილდება, მაგრამ „ლივერპულში“ დარჩენა მსურს“ — თქვა ფეხბურთელმა.

გერმანული „მიუნხენი“ ამჟამად მეორე ბუნდესლიგის ლიდერია და უკვე მომავალ სეზონზე და უმაღლეს ლიგაზე ფიქრობს. მიუნხენელები მოელაპარაკნენ ვენის „რაპიდის“ კაპიტან შტეფან ჰოფმანს და 25 წლის ნახევარმცველი მომავალ ზაფხულს „მიუნხენის“ რიგებში გადავა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლუბი ბუნდესლიგაში დაბრუნდება.

იტალიური „უდინეზეს“ ფორვარდი ვინჩენცო იაკინტა მალე ალბათ „ტოტენჰემის“ მაისურას მოირგებს. ლონდონელები უდინელებს თითქმის ყველაფერზე შეუთანხმდნენ და როგორც ამბობენ, ტრანსფერი გარდაუვალია. ნისლიან ალბიონზე გადაბარგებაზე უარს არც თავად 27 წლის თავდამსხმელი აცხადებს.

ინგლისური „მანჩესტერ სიტი“ თანაქალაქელი „იუნაიტედისგან“ კიერონ რიჩარდსონის შეძენას აპირებს. 21 წლის ნახევარმცველის ყიდვა ძალიან უნდა „სიტის“ თავკაც სტიუარტ პირსს და ამისთვის ხელმძღვანელობას 3 მილიონი გირვანქა დასცინცლა. „იუნაიტედს“ პასუხი ჯერ არ გაუცია.

ფინეთის ნაკრების გოლკიპერი ანტი ნიემი შესაძლოა, „ფულემში“ გადაბარგდეს. პრემიერლიგის 2003-04 სეზონის საუკეთესო მეკარეს ქვედა ლიგაში თამაში არ უნდა და „საუთჰემპტონიდან“ წასვლის სურვილი უკვე არაერთხელ გამოთქვა. გავრცელებული ცნობით, ლონდონური კლუბი მზად არის, 32 წლის ვეტერანში მილიონი გირვანქა გადაიხადოს.

ინგლისური „ვესტ ბრომვიჩი“ უგო ეჰიოგუთი გაძლიერდება. „მიდლსბრო“ დასთანხმდა ფეხბურთელთან კონტრაქტის გაწყვეტას და 33 წლის მცველი ახალ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხება. შეგახსენებთ, რომ 2001 წელს ეჰიოგუ „მიდლსბროში“ „ვესტ ბრომვიჩის“ ამჟამინდელმა თავკაცმა ბრაიან რობსონმა გადაიყვანა.

რეკლამა
სარბიელ-ში
სარეკლამო სამსახური:
38-11-14, 877 54 55 00

ბერლუსკონი უკმაყოფილია

სილვიო ბერლუსკონის „მილანის“ დაცვა არ მოსწონს

იტალიის პრემიერ-მინისტრმა და „მილანის“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ მისი კლუბი შეეცდება, მცველი და, ალბათ, თავდამსხმელიც შეიძინოს. სასურველი კანდიდატების ძიება უკვე დაწყებული ყოფილა.

ბერლუსკონი უკვე მერამდენედ შეეწინააღმდეგა თავისი ქვეშევრდომების განცხადებას და იტალიელ ჟურნალისტებს კიდევ ერთხელ ათქმევინა, რომ „მილანში“ მანც ისეა ყველაფერი, როგორც ბერლუსკონის სურს, მფლობელიც ის არის, სელექციონერიც და მწვრთნელიც. საქმე კი ის არის, რომ ჯერ კიდევ გუშინ, კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ აღნიშნა, არავის შეძენას არ ვაპირებთო.

„მე ვესაუბრე გალიანის და შევთანხმდით, რომ დაცვა გასაძლიერებელია. ასე რომ, დიდი შანსია, ახალი ფეხბურთელი ვიყიდოთ“ — განაცხადა ბერლუსკონიმ.

„მილანის“ დაცვას გაძლიერება დიახაც რომ სჭირდება. უკვე დიდი ხანია, თვალშისაცემად ბევრ გოლს უშვებს და სერიოზული პრობლემები ექმნება. ისედაც გადაბერებულ უკანა ხაზში არეულობა პაოლო მალდინის ტრავმამ გამოიწვია, რის გამოც კარლო ანჩელოტი იძულებულია, 39 წლის ალესანდრო კოსტაკურტა ათამაშოს. რაც შეეხება თავდასხმას, კრისტიან ვიერის წასვლის შემდეგ, „შავ-წითლებს“ არც მისი შემცვლელის მოძებნა აწყენდათ.

ამჟამად, „მილანს“ ექვს მცველს უკავშირებენ — იუვენტუსელ ჯონათან ძებინას, უდინეზელ დიას ფელიპეს, რომაელ კრისტიან კივუს, ჰერტელ იოსიპ შიმუნიჩს, სანპაულუელ დიეგო ლუგანოსა და პარმელ დანიელე ბონერას.

ძოკი კანდელაკი

ვუშველით თავს გელზენკირხენში?



AFP ბერლინიდან

გერმანიის სტადიონებს პრობლემები აქვთო, გვარწმუნებენ ექსპერტები

გერმანიის სტადიონები, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორებმა საგანგებოდ მომავალი ზაფხულისთვის ააგეს, გაარემონტეს და გადააკეთ-გადმოაკეთეს. გუშინ მომხმარებელთა დაცვის ჯგუფმა, სხვა სიტყვებით კი, გულშემატკივართა უსაფრთხოებაზე მზრუნველმა საგანგებო კომისიამ ეს სტადიონები დაათვალიერა და დაასკვნა, რომ პრობლემები ჯერ კიდევ მრავლადაა.

მომხმარებელთა ინტერესებისთვის ბრძოლაში სახელმოხვეჭილი გერმანელი შტიფტუნგ ვარენტესი ამბობს, რომ ზოგადად 80-იანი წლების, უფრო ზუსტად კი „ეიზელისა“ და „ჰილსბოროს“ ტრაგედიების შემდეგ, ევროპაში სტადიონების უსაფრთხოება შესამჩნევად მალალ საფეხურზე ავიდა, მაგრამ როგორც ჩანს, დრომ მაშინ გაკეთებული აუცილებელი დასკვნები მაინც დავიწყებას მისცა და დღევანდელი გერმანული სტადიონების შეფასებისას თავდაჭერილობაა საჭირო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ვარენტესის დასკვნას კატეგორიულად არ იზიარებს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ფრანც ბეკენბაუერი, რომელიც აცხადებს, რომ ტყუილია, თითქოს გელზენკირხენის, ლაიპციგისა და ბერლინის სტადიონები მასობრივი ევაკუაციისთვის მზად არ იყოს.

„ძალიან დამღალა ყველაფრის მცოდნეთა არმიამ, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზაციის საკითხში თავს საყოველთაო ექსპერტად მიიჩნევს. მეეჭვება, რომ მათი კრიტიკა პროფესიული იყოს. ეჯობდა, თავიანთი ენერგია ჩვენი დახმარებისთვის დაეხარჯათ“.

პაპუნა კედია

მოჩხუბარი ყავა

AFP

პელეს ბავშვობაში ნათლია უცემია

ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუს მოწაფეობისას უცემია თანაკლასელი, ანუ „ნათლია“, რომელმაც მას პირველად უწოდა პელე.

„ძალიან არ მესიამოვნა მეტსახელი, რადგან ეს სიტყვა ბალღის ტიტინს წაგავს — თქვა ბრაზილიელმა — სულ სხვაა ედსონი, რადგან ლამაზად ჟღერს. თანაკლასელს ჯერ შევუბღვირე, მერე კი ნიკაში მუშტი ვკარი. ამის გამო ორი დღით სკოლიდან მომკვეთეს“.

პელე სულ ბაქიობდა, რომ სკოლაში სამაგალითო ბიჭი და ცხვარივით წყნარი იყო, მაგრამ ხელის გაქნევაც სცოდნია. ფეხბურთის მეფე ახლა უკვე ემაღლიერება „ნათლიას“, რადგან მსოფლიო მას სწორედ პელედ იცნობს.

„ნებისმიერმა ადამიანმა იცის სიტყვა „პელე“ და მას იოლად წარმოთქვამს. ფაქტობრივად, ორმაგი ცხოვრება მქონდა — განაცხადა მეფემ — მოედანზე პელე ვიყავი, ოჯახში კი — ედისონი“.

ვაჟა ხუციშვილი

გაბრი ვესტ ჰემის სამიზნეზეა

გაბრი გარსია ზაფხულში თავისუფალი აგენტი გახდება

ინგლისური „ვესტ ჰემი“ „ბარსელონას“ ნახევარმცველმა გაბრი გარსიამ დაინტერესა. გაბრის კატალონიურ გრანდთან კონტრაქტი ივნისში უთავრდება და ალბიონელებსაც სურთ, იგი უფასოდ ჩაიგდონ ხელში. გუშინ ბარსელონაში ალან პერდიუ „ვესტ ჰემის“ მწვრთნელი ჩავიდა, რათა დღეს, სამეფო თასზე „ბარსა-სამორას“ თამაში ნახოს და რჩეულის სიჩუქეს უშუალოდ საქმეში დააკვირდეს.

„გაბრი შესანიშნავი ფეხბურთელია. ჩემ გუნდს მისი ოსტატობა და გამოცდილება ძალიან დაეხმარება“ — მოკლედ განუცხადა მისტერ პერდიუმ ჟურნალისტებს.

ამასობაში კი, მეორე ბარსელონელი, მაქსი ლოპესი ისევ „კამპ ნოუზე“ დარჩენას აპირებს. მოგეხსენებათ, მაქსის კატალონიურ გუნდში სამუელ ეტოოს ჩრდილში უწევს ყოფნა, თუმცა არგენტინელი იხტიბარს მაინც არ იტეხს, ჩემ დროც დადგებაო.

„უამრავი კლუბიდან მივიღე შემოთავაზება, თუმც გამოცდილების მიღების მხრივ „ბარსაში“ ყოფნა ფასდაუდებელ სამსახურს გამიწევს. ეტოოს მალე აფრიკის ეროვნებათა თასზე, კამერუნის ნაკრებთან ერთად მოუწევს ეგვიპტეში გამგზავრება და მეც მშვენიერი შანსი მომეცემა, ამ პერიოდში ფრანკ რაიკარდს, „ბარსელონას“ მწვრთნელს მოედანზე ჩემი შესაძლებლობები დავუმტკიცო“ — აღნიშნა მაქსიმ.

ლადო ხომერიკი

დავიდ ბელიონი სეზონის ბოლომდე „ნიცაში“ ითამაშებს

ნიცური ბელიონი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდი დავიდ ბელიონი სეზონის ბოლომდე „ნიცაში“ გაანათხოვრეს. „ლაჟვარდოვნებს“ ფეხბურთელის კონტრაქტის გამოსყიდვის უფლება აქვთ.

„ჩვენ რამდენიმე მოთამაშის დამატების ვარიანტი განვიხილეთ, საბოლოოდ კი, ბელიონი ავირჩიეთ“ — განაცხადა ფრანგული კლუბის პრესმდივანმა.

დავიდ ბელიონი მანჩესტერელებმა 2003 წელს „სანდერლენდიდან“ შეიძინეს, შარშან აგვისტოში კი „ვესტ ჰემს“ დროებით დაუთმეს. „ჩაქუჩებში“ მან შვიდი მატჩი ითამაშა და მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა.

მისი კარიერა „კანში“ დაიწყო, საიდანაც 2001-ში, „სანდერლენდში“ აღმოჩნდა. პრემიერლიგიდან „შავი კატების“ გავარდნის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გადაიბირა. ორ სეზონში 24 მატჩში ოთხი გოლი მიითვალა და სათადარიგოთა სკამს „ხეხავდა“, რის გამოც 2005-ის აგვისტოში „გააჩაქუჩეს“. „ვესტ ჰემს“ ვერ შეეგუა და სამშობლოში დაბრუნება ისურვა.

„ნიცა“ ამჟამად მე-13 ადგილზეა, 20 მატჩში 15 გოლის გამტან გუნდს შეტევის გაძლიერება სჭირდებოდა და ბელიონიც ამ საქმეში დაეხმარება.

ვაჟა ხუციშვილი

ათლეტური ულტიმატუმი
ბიანკი, ან მოიგეთ, ანაც...

მადრიდის „ატლეტიკოს“ ესპანური პრიმერას მე-18 ტურში „ვალენსიასთან“ ცუდად არ უთამაშია, მაგრამ „ათლეტებმა“ გოლის გატანა და შესაბამისად, მატჩის მოგება ვერ მოახერხეს, რამაც გუნდის ქომაგთა რისხვა გამოიწვია.

გუშინდელ „სარბიელშიც“ გვეწერა, რომ მუდმივი უიღბლობით გაცოფებული ინჩასები არგენტინელი კარლოს ბიანკის მწვრთნელობიდან მოხსნას ხმამაღლა მოითხოვდნენ. ახალი კი ისაა, რომ ქომაგებს კლუბის უფროსობაც გამოეხმაურა და... გუშინ ოკეანისგაღმელ სპეციალისტს ულტიმატუმი წაუყენა — თუ კარლოს ბიანკიმ „ატლეტიკოს“ მომდევნო ორი თამაშიდან (თასზე „სარაგოსასთან“ და ჩემპიონატში „ბეტისთან“) ერთ-ერთი მაინც ვერ მოაგებინა, მას თანამდებობიდან დაითხოვენ.

სენიორ ბიანკიზე მედია ცუდ ამბებს ავრცელებს — არგენტინელი ყველა თამაშში მხოლოდ „თავის ხალხს“ ენდობა და სათადარიგო მოთამაშეებს თავის გამოჩენის მისხალ შანსს არ აძლევს, მოედანზე სამი შეცვლა არასოდეს გაუკეთებია და ფეხბურთელებიც დაღლილობისგან მისავათებულნი არიან. ოდესღაც სანატრელი სპეციალისტი უხეში კაცი გამოდგა, გულშემატკივრებს არ ეკონტაქტება და „ატლეტიკოს“ ქომაგებიც ცუდი შედეგებით ამიტომ გააბოროტაო.

ლადო ხომერიკი

კარლოს ბიანკი

რონალდოს ნაჭვრა
ნეტავ მესი ბრაზილიელი იყოს

ლიონელ მესი

მადრიდის „რეალის“ ფორვარდმა რონალდომ ლეო მესი შეაქო და აღნიშნა, ძალიან კარგი იქნებოდა, „ბარსელონას“ ნორჩი არგენტინელი მისი თანამემამულე რომ ყოფილიყო.

„ლეო საოცარი ფეხბურთელია, მსოფლიოს ყმაწვილებში მისი ბადალი მოიერიშე არ ჰყავს. მესისნაირ მოთამაშეს ბრაზილიის ნაკრებში მართლა ვისურვებდი“ — უთხრა „რეალის“ ვარსკვლავმა ბრაზილიურ „ო გლობოს“.

„კიჭამ“ ბრაზილია-არგენტინის მარადიული საფეხბურთო მტრობაც გაიხსენა, ამ დუელს „მუნდიალის დიდი კლასიკო“ უწოდა და გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ხსენებული გრანდების შეხვედრა იწინასწარმეტყველა.

„დიდებული ფინალი იქნება, რომელიც ჩვენ უნდა მოვიგოთ, თუმც არგენტინელებიც პატივისცემას იმსახურებენ, ძლიერი ნაკრები ჰყავთ“ — განაცხადა რონალდომ.

2002 წლის მუნდიალის საუკეთესო მეგოლის ახლანდელი ოცნება მადრიდის „რეალისა“ და მშობლიური პენტაკამპეონთა ფიესტაა: „ბრაზილიისა და „რეალის“ ჩემპიონობა ერთნაირად მსურს. ახლა „სამეფო გუნდი“ კრიზისშია, მაგრამ ფეხზე წამოდგომას მალე მოახერხებს“.

ლადო ხომერიკი

საფრანგეთი

II დივიზიონი. XXI ტური

სედანი 3:0 კლერმონი

სედანი	21	11	8	2	30:17	41
ლორიანი	20	9	8	3	26:13	35
ვალანსიენი	20	9	8	3	26:16	35
ბასტია	20	9	7	4	28:17	34
კრეტეი	20	8	6	6	30:18	30
შატორუ	20	7	8	5	28:23	29
კაენი	20	6	9	5	25:19	27
დიჟონი	20	6	8	6	21:23	26
გრენობლი	19	7	5	7	18:21	26
მონპელიე	20	6	7	7	19:24	25
ამიენი	20	5	9	6	22:22	24
გენიონი	20	5	9	6	15:23	24
გენგამი	20	5	8	7	16:17	23
ლე ავრი	20	5	8	7	24:26	23
რეიმსი	19	4	10	5	14:13	22
ლავალი	20	6	3	11	19:28	21
კლერმონი	21	5	6	10	17:37	21
ისტრი	20	4	8	8	17:27	20
სეტე	20	2	8	10	18:29	14

პორტუგალია

სუპერლიგა. XVII ტური

რიუ ავე 1:2 ლეირია

პორტუ	17	12	4	1	29:10	40
ბენფიკა	17	10	4	3	25:12	34
ნასიონალი	17	10	4	3	22:9	34
ბრაგა	17	10	2	5	19:11	32
სეტუბალი	17	9	3	5	14:7	30
სპორტინგი	17	9	3	5	25:19	30
ლეირია	17	7	3	7	22:22	24
ბოავიშტა	17	5	8	4	21:18	23
მარიტიმუ	17	5	7	5	20:20	22
ამადორა	17	6	4	7	14:15	22
ფერეირა	17	6	3	8	18:22	21
ბელენენსეში	17	6	2	9	16:19	20
ჟილ ვისენტე	17	6	2	9	15:19	20
რიუ ავე	17	5	5	7	21:26	20
აკადემიკა	17	5	4	8	16:23	19
ნავალი	17	4	2	11	18:27	14
გიმარაეში	17	4	2	11	9:25	14
პენაფიელი	17	1	4	12	11:31	7

საბერძნეთი

ეროვნული ლიგა. XV ტური

კალამარია 2:2 პაოკ

ოლიმპიაკოსი	15	13	0	2	32:7	39
აეკ	15	11	3	1	21:7	36
პანათინაიკოსი	15	9	3	3	24:12	30
ქსანთი	15	7	4	4	19:14	25
პაოკ	15	6	6	3	25:15	24
ირაკლისი	15	6	4	5	16:17	22
ატრომიტოსი	15	6	3	6	17:16	21
იონიკოსი	15	4	7	4	20:20	19
ეგალეო	15	4	7	4	12:17	19
ლარისა	15	4	5	6	16:20	17
კალამარია	15	4	4	7	14:21	16
ლევადიაკოსი	15	3	5	7	10:15	14
ოფი	15	2	6	7	9:19	12
პანიონიოსი	15	3	3	9	11:24	12
აკრატიტოსი	15	2	4	9	8:19	10
კალითეა	15	1	6	8	11:22	9

იტალია

სერია B. XXII ტური

მანტოვა 2:0 მოდენა

მანტოვა	22	12	9	1	30:14	45
კატანია	22	12	7	3	36:23	43
ტორინო	22	11	7	4	23:14	40
ატალანტა	22	12	3	7	34:25	39
ჩეზენა	22	10	7	5	34:24	37
ბრეშა	22	8	11	3	27:18	35
ვერონა	22	7	11	4	24:17	32
მოდენა	22	7	11	4	29:21	32
არეცო	22	8	8	6	24:18	32
რიმინი	22	9	5	8	26:24	32
ტრიესტინა	22	8	7	7	22:23	31
კროტონე	22	8	6	8	21:20	30
პესკარა	22	8	6	8	25:26	30
პიაჩენცა	22	6	9	7	27:26	27
ბოლონია	22	6	9	7	24:25	27
ვიჩენცა	22	7	6	9	23:29	27
ბარი	22	5	10	7	22:25	25
ტერნანა	22	4	10	8	17:29	22
აველინო	22	3	8	11	19:36	17
ალბინოლეფე	22	2	9	11	14:28	15
კრემონეზე	22	2	6	14	17:32	12
კატანძარო	22	2	5	15	11:32	11

ფეხბურთელი მოჭადრაკის ტანით

უცნაური კაცია მამამისი. ბავშვობაში თურმე სიმაღლიდან ხტომა უყვარდა. ერთხელ სკოლის სახურავიდაანც ისკუპა, თუმც ARIEN ROBEN მამის უცნაურობა არ გამოჰყვა. „ნახტომი“ იმას ჰქვია, „გრონინგენის“ ფეხბურთელი ორ წელიწადში „ჩელსის“ მაისურს რომ მოირგებს. სწორედ „გრონინგენში“ დაიწყო რობენის კარიერა, საიდანაც 2002-ში „პსვ ეინდჰოვენმა“ შეიძინა და 2004 წელს ჯიბესქელ ლონდონურ კლუბს მიჰყიდა. პრემიერლიგის პირველივე სეზონში 18 მატჩი ითამაშა და 7 გოლი გაიტანა, ჩემპიონთა თასზე კი ხუთი მატჩში ერთი გოლი მიითვალა. არიენ რობენი ფრენკ ლამპარდთან ერთად „ჩელსის“ ფანთა ჯილაა, რადგან ბურთს „შენობით მიმართავს“ და ჟოზე მაურინიუს ერთფეროვან გუნდს თავისებურ ხიბლს მატებს. ჰოლანდიელ ფეხბურთელზე გაცილებით მეტს შეიტყობთ ინტერვიუში, რომელშიც რობენი აგენტ მამაზე და პორტუგალიელ მწვრთნელზე ჰყვება

— მამათქვენმა თქვა, რომ სიყმაწვილეში ბევრი სისულელე ჩაუდენია. მაგალითად, სკოლის შენობის სახურავიდან გადმომხტარა. თქვენც ასე „ერთობოდით“ ბავშვობაში?

— მართალი გითხრათ, ეს ამბავი მამაჩემისგან არ მსმენია, მაგრამ აუცილებლად გამოკითხავ. მე კი სახურავებიდან ხტომა არასოდეს მიცდია.

— სიმკაცრეში იზრდებოდით?

— ზომიერად. ჩემ აზრს მშობლები ყოველთვის ითვალისწინებდნენ. როცა ფეხბურთელობა გადავწყვიტე, სად აღარ მატარეს. მამაჩემი თვითონ მწვრთნელობდა ბავშვთა გუნდებში და ძალიან დამეხმარა. ახლა „ჩელსიში“ რომ ვარ, ჩემი ოჯახის დამსახურებაა.

— გამოდის, თქვენი აგენტობა მამამ იკისრა. პროფესიონალებს არ ენდობა?

— ჩვენ თვითონაც შეგვიძლია სატრანსფერო საქმეების მოგვარება და საკმაოდ კარგადაც გამოგვდის. ზოგჯერ ერთი ნაცნობი პროფესიონალი აგენტის რჩევებით ვსარგებლობთ.

— ამბობენ, პსვ-ში მეორე სეზონი იმიტომ დარჩით, რომ უნივერსიტეტი დაგემთავრებინათ...

— ვინც ეს თქვა, ძალიან აურეჯია. პსვ-ში კი არა, 2001 წელს „გრონინგენში“ დავრჩი, რადგან სკოლა უნდა დამემთავრებინა და დიპლომი ამეღო. ასეც მოვიქეცი.

— ამჟამად რომელიმე უნივერსიტეტში სწავლობთ?

— არა. მთელ დროს ფეხბურთს ვუთმობ.

— ჟოზე მაურინიუმ განაცხადა, რომ რობენი დიდებული ჰოლანდიური საფეხბურთო სკოლის „ნაყოფია“. რა საიდუმლოს ფლობენ ჰოლანდიელები?

— საიდუმლოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა მომზადებაში მთავარია ტექნიკა და ტაქტიკა. ისინი ბურთთან დიდ დროს ატარებენ, ტრენაჟორები კი მათთვის უცხოა. კუნთების „დაბერვა“ მოგვიანებით იწყება.

— ბავშვობაშიც განაპირა ნახევარმცველად თამაშობდით?

— ზოგჯერ ცენტრფორვარდობა მიწევდა, უკან დაწეული შემტევიც ვყოფილვარ. ფლანგზე პირველად 17-წლამდელთა ნაკრებში გამამწესეს. შემდეგ „გრონინგენის“ ძირითად შემადგენლობაში ჩემი დებიუტი შედგა და რამდენიმე კვირის მერე მარცხენა ფლანგზე აღმოვჩნდი.

— გამთამაშებლობა არ გსურთ?

— ოდესღაც შეიძლება კიდეც ვისურვო, მაგრამ „ფრთებზე“ გაცილებით მეტი თავისუფლება მაქვს და ამით კმაყოფილი ვარ.

— ჭადრაკი გყვარებიათ...

— მოსწავლეობისას ვთამაშობდი და ერთ-ერთი საუკეთესო ვიყავი. „ჩელსიში“ არავისთან მითამაშია, ამიტომ პრაქტიკა მომაკლდა. ზოგადად, სკოლაში გამართულ ყველა შეჯიბრში პირველობისთვის ვიბრძოდი, რადგან სულ გამარჯვებაზე ვფიქრობდი.

— ორი წლის წინ არჩევანის წინ დადექით: ან „ჩელსი“, ან „მანჩესტერ იუნაიტედი“...

— ყველაფერი მარტივად მოხდა. თავიდან მანჩესტერელებმა მომაკითხეს. საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, მათ ინგლისში ვესტუმრე და ალექს ფერგიუსონსაც ვესაუბრე. მერე ვითარება აირია, რადგან კლუბები თანხაზე ვერ მორიგდნენ. შემდეგ „ჩელსი“ გამოჩნდა, რომელიც პსვ-ს უცბად მოურიგდა და დავრწმუნდი, რომ ლონდონურ კლუბს ნაღდად ვჭირდებოდი.

— იოჰან კრუიფს უთქვამს, რობენის თამაშის ნახვა მსიამოვნებსო. პირადად თუ იცნობთ მას?

— ორ-სამჯერ შევხვედრილვართ. პსვ-ში თამაშისას კრუიფის დაწესებული პრიზი (სეზონის საუკეთესო ახალგაზრდას) თვითონ დამწესებელმა გადმომცა და წარმატება მისურვა.

— მართალია, რომ 16 წლისა „ფეიენოორდთან“ მატჩისას შეცვლაზე შეხვედით და „გრონინგენის“ გამარჯვებისა გაიტანეთ?

— ამ ამბავს ყოველწლიურად სხვადასხვანაირად მიყვებიან. სინამდვილეში ძირითად შემადგენლობაში ვიყავი, კარგად ვითამაშე და გოლი არ გამიტანია.

— დიკ ადვოკაატი, გუს ჰიდინკი, მარკო ვან ბასტენი და ჟოზე მაურინიუ. რომელმა უფრო მეტი შეგძინათ?

— ვერავის გამოვარჩევ. თითოეულ მათგანს ფეხბურთის თავისებური ხედვა აქვს. ჩემი აზრით, ფეხბურთელმა თვითონ უნდა ისწავლოს, შეცდომები გამოასწოროს და იცოდეს, როდის რა სჭირდება. მხოლოდ ასე შეიძლება პროფესიონალად ჩამოყალიბება. მწვრთნელი ძალით ვერაფერს გასწავლის, თავად უნდა მოინდომო, გამოცდილ მოთამაშეებსა და მწვრთნელების რჩევებს მოუსმინო და აითვისო ის, რაც გამოგადგება.

— ჯონ ტერი ყოველი მატჩის შემდეგ ვიდეოფირს „აწვალებს“, რათა საკუთარი შეცდომები ნახოს. თქვენც ასე იქცევით?

— არა. ჩემი თამაშის ანალიზი აღარ მჭირდება, რადგან ნამატჩევს ზუსტად ვიცი, კარგად ვითამაშე თუ ცუდად. თან ზედმიწევნით ზუსტად მახსოვს, როდის რა გავაკეთე, სწორად თუ არასწორად.

— რომელი სათამაშო კომპონენტის დახვეწაზე ზრუნავთ?

— არ მსურს დანაწევრება, რადგან მთავარია, მთლიანობაში გავიზარდო, როგორც ფეხბურთელი. პსვ-ში ყოფნისას, გუუს ჰიდინკმა მითხრა ის, რაც არასოდეს დამავიწყდება: „ასი პროცენტით მომზადება შეუძლებელია, რადგან დაუმარცხებელი ადამიანები არ არსებობენ, ასი პროცენტი კი სწორედ დაუმარცხებელს ნიშნავს. შენი პოტენციალის 95 პროცენტი უნდა გამოიყენო. ამჟამად 80-ს მიაღწიე, მაგრამ ყველაზე რთული დარჩენილი 15-ის გამოწურვაა. საამისოდ საჭიროა ყოველდღიური შრომა. შეუძლებელია, რომ ერთ მშვენიერ დღეს სხვაზე ძლიერ ფეხბურთელად გაიღვიძო, მაგრამ ყოველდღიური ზრდა შესაძლებელია“.

— „ჰაიბერიზე“, „არსენალის“ კარში გატანილი გოლით კრიტიკოსებს უპასუხეთ?

— გოლის გატანისას არ მიფიქრია იმაზე, რომ ვინმესთვს პასუხი გამეცა. ამბობდნენ, თითქოს მაურინიუსთან კონფლიქტი მქონდა, მაგრამ ეს ტყუილია. გოლი იმიტომ გამიხარდა, რომ ტრავმის მოშუშების შემდეგ პირველად გავიტანე.

— ინგლისში ცხოვრებას შეეგუეთ?

— დიახ, არ გამჭირვებია. ერთი კია, რომ ძველებურად შავ ჩაის ვსვამ და არა რძიანს.

— რას იტყვით ბრიტანულ მედიაზე, რომელიც ბურთის თრევის გამო ხშირად ეგოისტს გიწოდებთ?

— მე — ეგოისტი?! შესაძლოა, ორიოდ წლის წინ კიდევ მიჭირდა ბურთთან განშორება, მაგრამ „ჩელსიში“ მსგავსი რამ შეუძლებელია.

— ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „ბარსელონასთან“ შეხვედრა გელით...

— „ბარსა“ დიდებული გუნდია. საამო ფეხბურთს თამაშობს და ფანტასტიკური ქომაგები ჰყავს. შარშანდელივით წლეულსაც უნდა ვცადოთ მეოთხედფინალში გასვლა.

— „ბარსელონას“ თამაშებს უყურებთ?

— ხანდახან.

— ფრანკ რაიკარდს პირადად იცნობთ?

— არა.

— რა სხვაობაა „ჩელსისა“ და „ბარსელონას“ საფეხბურთო ფილოსოფიას შორის?

— სხვაობას ვერ ვხედავ. ერთმანეთს ხუთ-ხუთი გოლი გავუტანეთ და გულშემატკივრებს ლამაზი ფეხბურთი ვაჩვენეთ.

— დიკ ადვოკაატმა, ევრო 2004-ზე, ჩეხებთან მატჩში მაშინ შეგცვალათ, როცა ორი საგოლე პასი გააკეთეთ და 2:1-ს იგებდით...

— ამის გამო მწვრთნელზე ნაწყენი არ ვარ, თუმც იმ მომენტში ნაღდად გაოცებული დავრჩი და ვფიქრობ, რომ ჩემი შეცვლა შეცდომა იყო. წყენამ მეორე დღესვე გადამიარა.

— როგორ შეძლო მწვრთნელობაში გამოუცდელმა მარკო ვან ბასტენმა ნაკრების ისე გადახალისება, რომ გუნდი ბრწყინვალედ თამაშობს?

— მხოლოდ ერთი რამ ვიცი — შესარჩევი ციკლი საუცხოოდ ჩავატარეთ. გუნდში ბევრი ახალგაზრდა, მოტივირებული ფეხბურთელია. ასეც გავაგრძელებთ და ვიმედოვნებ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სათანადო ფორმაში ვიქნებით.

— წლეულს რისი მოგება გსურთ?

— ევროპის ჩემპიონთა თასის და მსოფლიოს ჩემპიონატის.

„ჩელსის“ ფანების ყოჩები: ფრენკ ლამპარდი და არიენ რობენი

სარგებელი & კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		14 იანვარი						
16:45	1	სიტი-მანჩესტერი	4.20	3.40	1.75	1.87	1.23	1.15
19:00	3	არსენალი-მიდლსბრო	1.35	4.50	8.00	1.03	1.15	2.88
19:00	5	ასტონ ვილა-ვესტ ჰემი	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69
19:00	6	ჩარლტონი-ბირმინგემი	1.85	3.30	3.90	1.18	1.25	1.78
19:00	7	ფულემი-ნიუკასლი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
19:00	8	ლივერპული-ტოტენჰემი	1.65	3.40	4.75	1.11	1.22	1.98
19:00	10	პორტსმუთი-ევერტონი	2.30	3.10	2.85	1.32	1.27	1.48
21:15	11	ბლეკბერნი-ბოლტონი	2.15	3.10	3.10	1.26	1.26	1.54
		15 იანვარი						
17:30	12	უიგანი-ვესტ ბრომვიჩი	1.70	3.30	4.70	1.12	1.24	1.93
20:00	13	სანდერლენდი-ჩელსი	10.00	5.20	1.20	3.42	1.07	1.00
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		13 იანვარი						
23:45	15	ვულვერჰემპტონი-ლუტონი	1.85	3.20	3.90	1.17	1.25	1.75
		14 იანვარი						
19:00	16	ბრაიტონი-ლიდსი	3.20	3.10	2.10	1.57	1.26	1.25
19:00	17	კარდიფი-ბარნლი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
19:00	18	დერბი-ქრიუ	1.80	3.10	4.20	1.13	1.25	1.78
19:00	19	ჰალი-კრისტალ პალასი	2.90	3.10	2.20	1.49	1.25	1.28
19:00	20	იფსვიჩი-შეფილდი	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
19:00	21	პლიმუთი-ნორვიჩი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
19:00	22	პრესტონი-მილუოლი	1.65	3.20	5.00	1.08	1.24	1.95
19:00	23	ქპრ-საუთჰემპტონი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
19:00	24	რედინგი-ქოვენთრი	1.40	3.80	7.00	1.02	1.16	2.46
19:00	25	უენსდი-ლესტერი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
		16 იანვარი						
23:45	26	უოტფორდი-სტოკი	1.90	3.00	3.80	1.16	1.26	1.67
		ინგლისი. I ლიგა						
		14 იანვარი						
19:00	30	ბორნმუთი-როტერჰემი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
19:00	31	ბრედფორდი-სუონსი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
19:00	32	ბრისტოლი-სკანთორპი	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
19:00	33	დონასტერი-ჩესტერფილდი	2.25	3.10	3.00	1.30	1.28	1.52
19:00	34	ჯილინგემი-სუინდონი	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
19:00	35	ჰარტლპული-ტრანმერი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
19:00	36	ჰადერსფილდი-ბლეკპული	1.70	3.30	4.40	1.12	1.22	1.88
19:00	37	დონსი-იოვილი	2.45	3.20	2.60	1.38	1.26	1.43
19:00	38	ნოტინგემი-ოლდემი	1.90	3.20	3.65	1.19	1.24	1.70
19:00	39	პორტ ვეილი-ბარნსლი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
19:00	40	საუთენდი-ბრენტფორდი	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
19:00	41	უოლსოლი-კოლჩესტერი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
		ინგლისი. II ლიგა						
		14 იანვარი						
19:00	42	ბერი-ტორკი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
19:00	43	ჩელტენემი-როვერსი	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
19:00	44	ჩესტერი-ბოსტონი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
19:00	45	დარლინგტონი-პიტერბრო	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
19:00	46	გრიმსბი-მენსფილდი	1.70	3.30	4.40	1.12	1.22	1.88
19:00	47	ლეიტონი-ნორთჰემპტონი	2.15	3.10	3.20	1.26	1.28	1.57
19:00	48	ლინკოლნი-ბარნეტი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
19:00	49	მაკლსფილდი-ოქსფორდი	1.85	3.20	3.75	1.17	1.23	1.72
19:00	50	როჩდეილი-სტოკპორტი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
19:00	51	რაშდენი-რექსემი	2.50	3.20	2.45	1.40	1.23	1.38
19:00	52	შრიუსბერი-კარლაილი	2.60	3.20	2.40	1.43	1.24	1.37
19:00	53	უიკომბი-ნოტსი	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		14 იანვარი						
19:00	57	სელტიკი-კილმარნოკი	1.25	4.60	9.00	1.00	1.09	3.04
19:00	60	დანფერმლაინი-ჰართსი	5.30	3.70	1.55	2.17	1.19	1.09
19:00	62	ჰიბერნიანი-აბერდინი	1.65	3.50	4.50	1.12	1.20	1.96
19:00	64	ინვერნესი-ლივინგსტონი	1.70	3.50	4.30	1.14	1.21	1.92
		15 იანვარი						
19:00	59	დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
18:00	65	მოზერუელი-რეინჯერსი	4.00	3.40	1.70	1.83	1.19	1.13
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		14 იანვარი						
19:00	66	ერდრი-სტ.მირენი	2.85	3.30	2.15	1.52	1.22	1.30
19:00	67	ბრეჩინი-სტრანრარი	2.75	3.20	2.25	1.47	1.23	1.32
19:00	68	კლაიდი-სტ.ჯონსტონი	2.15	3.30	2.85	1.30	1.22	1.52
19:00	69	დანდი-როსი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
19:00	70	ქუინი-ჰამილტონი	4.20	3.40	1.70	1.87	1.21	1.13
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		14 იანვარი						
19:00	71	ალოა-ფორფარი	2.80	3.20	2.20	1.49	1.23	1.30
19:00	72	ეარი-პარტიკი	2.65	3.20	2.30	1.44	1.23	1.33
19:00	73	მორტონი-ვრეტნა	2.85	3.20	2.20	1.50	1.24	1.30
19:00	74	პიტერჰედი-დამბარტონი	1.70	3.50	4.10	1.14	1.20	1.88
19:00	75	რეითი-სტირლინგი	2.75	3.30	2.15	1.50	1.20	1.30
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		14 იანვარი						
23:00	127	ბეტისი-ატლეტიკო	2.00	3.10	3.45	1.21	1.26	1.63
23:45	135	ვალენსია-ოსასუნა	1.70	3.30	4.60	1.12	1.24	1.92
		15 იანვარი						
22:00	125	ბარსელონა-ბილბაო	1.20	5.20	12.00	1.00	1.09	3.62
20:00	129	ხეტაფე-სელტა	2.10	3.00	3.20	1.23	1.26	1.54
20:00	130	დეპორტივო-ალავესი	1.40	4.20	6.50	1.04	1.15	2.55
20:00	131	მალაგა-კადისი	1.85	3.20	3.90	1.17	1.25	1.75
23:45	132	რეალი-სევილია	1.45	3.80	6.50	1.04	1.18	2.39
20:00	133	რასინგი-ვილიარეალი	2.95	3.00	2.25	1.48	1.27	1.28

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაამზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	134	სოსიედადი-ესპანიოლი	1.95	3.10	3.75	1.19	1.28	1.69
20:00	136	სარაგოსა-მალიორკა	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		11 იანვარი						
21:15	148	ბორდო-ოსერი	2.00	2.90	3.90	1.18	1.32	1.66
23:30	149	აიაჩო-ნანტი	2.50	2.80	3.00	1.32	1.36	1.44
23:30	150	ლანსი-ნანსი	1.60	3.30	5.80	1.07	1.25	2.10
23:30	151	ლანსი-ნანსი 0:1	2.50	3.40	2.20			
23:30	152	მეცი-სტ.ეტიენი	2.55	2.90	2.75	1.35	1.32	1.41
23:30	153	მონაკო-სტრასბური	1.40	3.80	7.50	1.02	1.17	2.52
23:30	154	რენი-ლე მანი	1.75	3.20	4.60	1.13	1.26	1.88
23:30	155	სოშო-ნიცა	2.15	2.90	3.50	1.23	1.33	1.58
23:30	156	ტრუა-ლილი	2.65	2.80	2.80	1.36	1.36	1.39
23:45	157	ლიონი-მარსელი	1.55	3.40	6.00	1.06	1.23	2.17
23:45	158	ლიონი-მარსელი 0:1	2.40	3.40	2.25			
		12 იანვარი						
23:45	159	ტულუზი-პსჟ	2.85	2.90	2.45	1.43	1.31	1.32
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		11 იანვარი						
23:30	180	გრენობლი-ვალენსიენი	2.30	2.80	3.20	1.26	1.33	1.49
23:30	181	ლე ავრი-ბრესტი	2.10	2.80	3.70	1.20	1.33	1.59
		ბელგია. II დივიზიონი						
		11 იანვარი						
23:00	192	ეუპენი-მეხელენი	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
23:00	193	გეელი-ოსტენდე	2.30	3.20	2.60	1.33	1.22	1.43
23:00	194	ჰეუსდენი-ტუბეკე	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
23:30	195	ლომელი-დესელი	1.60	3.60	4.50	1.10	1.18	2.00
23:00	196	მონსი-დაინცე	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
23:30	197	ჰევერლე-კორტრაიკი	2.25	3.20	2.65	1.32	1.21	1.44
23:30	198	ვაასლანდი-ანტვერპენი	1.90	3.20	3.45	1.19	1.22	1.66
23:00	199	სტ.უილი-ვიგორი	2.30	3.20	2.65	1.33	1.23	1.44
23:00	200	ვირტონი-რონსე	2.30	3.20	2.65	1.33	1.23	1.44
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		11 იანვარი						
23:00	210	ბრედა-ვალვაიკი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
23:00	211	ტილბურგი-ჰერაკლესი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
		ინგლისი. თასი						
		11 იანვარი						
23:45	275	ბლექბერნი-მანჩესტერი	3.90	3.30	1.85	1.78	1.25	1.18
		შოტლანდია. თასი						
		11 იანვარი						
23:45	577	ლივინგსტონი-ალოა	1.15	5.10	12.00	1.00	1.04	3.57
		ესპანეთი. თასი						
		11 იანვარი						
23:45	285	ბარსელონა-ზამორა	1.05	8.50	18.00	1.00	1.00	5.77
23:00	286	ბეტისი-სელტა	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
23:45	287	ესპანიოლი-ხეტაფე	1.95	3.20	3.80	1.21	1.28	1.73
23:00	288	ოსასუნა-დეპორტივო	2.10	3.20	3.30	1.26	1.28	1.62
23:00	290	სევილია-კადისი	1.55	3.60	6.00	1.08	1.23	2.25
23:45	291	ვალენსია-ვილიარეალი	1.90	3.30	3.80	1.20	1.26	1.76
23:45	292	ატლეტიკო-სარაგოსა	2.00	3.20	3.45	1.23	1.26	1.66
		12 იანვარი						
23:45	289	რეალი-ბილბაო	1.40	4.00	6.80	1.03	1.16	2.51

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		პორტუგალია. თასი						
		11 იანვარი						
22:30	293	ავეში-ბრაგა	4.20	3.30	1.80	1.34	1.23	1.16
23:45	294	გიმარაეში-ეშტორილი	1.50	3.60	6.00	1.05	1.20	2.25
23:45	295	ნავალი-პორტუ	5.50	3.60	1.55	2.17	1.20	1.08
23:45	296	სპორტინგი-ვიზელა	1.15	6.50	12.00	1.00	1.04	4.21
		საბერძნეთი. თასი						
		12 იანვარი						
21:00	298	კალამარია-ოლიმპია	2.50	3.00	2.55	1.36	1.26	1.37
		იტალია.თასი						
		11 იანვარი						
23:45	277	ბრეშა-მილანი	4.70	3.50	1.65	2.00	1.22	1.12
20:00	282	რომა-ნაპოლი	1.40	4.20	6.50	1.04	1.15	2.55
23:30	283	სამპდორია-კალიარი	1.60	3.30	5.50	1.07	1.23	2.06
20:30	284	უდინეზე-ატალანტა	1.50	3.60	6.00	1.05	1.20	2.25
		12 იანვარი						
18:30	278	ჩიტადელა-ლაციო	4.70	3.50	1.65	2.00	1.22	1.12
23:45	279	ინტერი-პარმა	1.30	4.30	8.50	1.00	1.12	2.85
		ჰოკეი. შვედეთი						
		12 იანვარი						
22:00	452	ლინჩიოპინგი-ლეკსანდი	1.30	4.70	5.00	1.01	1.03	2.42
22:00	453	იურგორდენი-მოდო	2.05	4.00	2.30	1.35	1.08	1.46
22:00	454	ჰვ 71-ფრიოლუნდა	1.95	4.10	2.50	1.32	1.09	1.55
		ჰოკეი. ფინეთი						
		11 იანვარი						
20:30	460	ესპოო-ჰაამეენლინა	2.25	4.20	2.10	1.46	1.08	1.39
20:30	461	ლუკო-ილვესი	2.05	4.20	2.25	1.37	1.07	1.46
		12 იანვარი						
20:30	462	სეიპა-ესპოო	2.05	4.20	2.25	1.37	1.07	1.46
20:30	463	პელიკანსი-იუვესკიულე	2.50	4.20	1.85	1.56	1.06	1.28
20:30	464	კალპა-ტურკუ	2.50	4.20	1.85	1.56	1.06	1.28
20:30	465	ჰელსინკი-კერპეტი	2.10	4.20	2.25	1.39	1.08	1.46
20:30	466	ტაპარა-იოკერიტი	1.65	4.30	3.00	1.19	1.06	1.76
20:30	467	ჰაამეენლინა-ესეტი	1.55	4.40	3.40	1.14	1.06	1.91
		ჰოკეი. შვეიცარია						
		11 იანვარი						
22:45	530	კლოტენი-დავოსი	2.10	4.20	2.20	1.39	1.07	1.44
		კალათბურთი. ევროლიგა						
		11 იანვარი						
22:15	688	ეფესი-ოლიმპიაკოსი	1.20	12.00	3.90	1.09	1.00	2.94
22:45	689	პროკომი-მილანი	1.65	12.00	2.10	1.45	1.00	1.78
23:00	690	რიტასი-ბარსელონა	1.45	12.00	2.40	1.29	1.00	2.00
23:30	691	სტრასბური-ბამბერგი	1.45	12.00	2.40	1.29	1.00	2.00
23:45	692	უნიკახა-ცსკა	1.70	12.00	2.00	1.48	1.00	1.71
23:45	693	ბოლონია-ბენეტონი	1.40	12.00	2.50	1.25	1.00	2.06
23:45	698	რეალი-პარტიზანი	1.06	12.00	6.50	1.00	1.00	4.21
		12 იანვარი						
22:45	694	ჟალგირისი-აეკ	1.15	12.00	5.00	1.04	1.00	3.52
22:45	695	პანათინაიკოსი-სიენა	1.15	12.00	4.50	1.04	1.00	3.27
23:30	696	პაუ-ულქერი	1.45	12.00	2.30	1.29	1.00	1.93
23:45	697	ტაუ-ოლიმპია	1.05	12.00	7.50	1.00	1.00	4.61
23:45	699	ციბონა-მაკაბი	2.50	12.00	1.40	2.06	1.00	1.25

„ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘ" ᲑᲘᲣᲠᲝᲔᲑᲛᲐ ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡᲐ (Გ. ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐᲡ, 150) ᲓᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ (ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲧᲐᲜᲬᲔᲚᲔᲑᲘᲡ, 4) ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲜᲐᲐᲮᲚᲔᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲓᲦᲔᲘᲓᲐᲜ, 11 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲓᲐᲜ ᲧᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲐᲮᲚᲔᲑᲡ ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ ᲑᲘᲣᲠᲝᲪ (ᲘᲝᲐᲜᲔ ᲰᲔᲢᲠᲘᲬᲘᲡ, 3)

გიორგიმ ოლიმპიას გადაუფრინა

არ გამოვიდა ზადარი, აგერაა ჟალგირისი

გასულ ზაფხულს ტრევიზოს ტრადიციულ კემპზე ნაყოჩაღევმა გიორგი გაფრინდაშვილმა „საჩუქრად“ ლიუბლიანას „ოლიმპიასთან“ კონტრაქტი მიიღო, მაგრამ სლოვენიურ გუნდში მომხდარმა ცვლილებებმა ახალგაზრდა ქართველი გუნდის გამოცვლაზე დააფიქრა. ის კონტრაქტი ახლა ფაქტობრივად აღარ არსებობს და გაფრინდაშვილიც ხორვატიის ვიზის მოლოდინშია, რათა ამ ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ „ზადარში“ ცადოს ბედი. სამარქაფო ვარიანტად გიორგის კაუნასის „ჟალგირისი“ შეურჩევია და თუ ხორვატიაში თავი კარგად არ იგრძნო, კარიერას ლიტვაში გააგრძელებს

ბურთან დოლიანაშვილის ფოტო

გიორგი გაფრინდაშვილი (ბურთით) სლოვენიიდან მოდის

— აქ ლიტვის საელჩო არაა და ვიზას ვერ ვაკეთებ, თორემ, როგორც ჩემი მენეჯერი მეუბნება, „ჟალგირისი“ მზადაა, დუბლიორთა გუნდში ამიყვანოს — გვითხრა გიორგი გაფრინდაშვილმა გუშინ, როცა ლიუბლიანაში შევეხმიანეთ.

— თუ საქმეს სჭირდება, ლიტვის ვიზას ვერ გააკეთებ?

— ამისთვის საქართველოში მომიწევს ჩამოსვლა, რაშიც არცთუ მცირე დრო დამეკარგება და ამიტომ „ჟალგირისის“ ვარიანტზე ჯერ არ ვფიქრობ. ჩემი მენეჯერი ხორვატიულ „ზადარში“ მიშვებს. თუ მომეწონა, მერე კონტრაქტის პირობებზე წავა მოლაპარაკება.

— რატომ მიდიხარ, „ოლიმპიამ“ ამ ზაფხულს არ გაგიფორმა კონტრაქტი?

— გუნდის ხელმძღვანელობას არც ახლა უნდა ჩემი გაშვება, მაგრამ ახალ მწვრთნელს თავისი კადრების მოყვანა სურს და ჩემთან ერთად არაერთი ოლიმპიელი გულზე არ ეხატება. ამბობს, თუ გუნდში მომიყვანეთ, შემადგენლობაც დამაკომპლექტებინეთო.

— კონტრაქტს გიწყვეტენ?

— ხელშეკრულება ფაქტობრივად აღარ მაკავშირებს „ოლიმპიასთან“. ახლა გუნდის კმაყოფაზე რომ ვარ, ეს ხელმძღვანელობის კეთილი ნებაა. „ოლიმპიას“ ერთ-ერთმა მწვრთნელმა მოახერხა, რომ ჩემი კონტრაქტი გაუქმებულიყო და ამის გამო მისგან დიდად დავალებული ვარ. ახლა თავისუფალი გახლავართ და სადაც მინდა, იქ წავალ. აქ არის რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებსაც არ ათამაშებენ, მაგრამ რაკი კონტრაქტი აქვთ, „ოლიმპიადან“ ვერსად მიდიან. მე ის დამეხმარა, რომ ჩემს გათავისუფლების ფურცელში ოლიმპიელებს ფული არ ჰქონდათ გადახდილი და კონტრაქტიც იოლად გაუქმდა.

— „ზადარში“ თუ მომეწონა, მოლაპარაკებებს მერე წამოიწყებენო, თქვი და ხორვატებს აღარ ეკითხები?

— ჩემი მენეჯერის თქმით, „ზადარის“ ხელმძღვანელობამ კარგად იცის ჩემი შესაძლებლობები და თუ მე არ წავედი წინააღმდეგი, გუნდში ამიყვანენ. ამ გუნდს ახალგაზრდა მწვრთნელი ჰყავს, რომელიც შედარებით გამოუცდელი მოთამაშეების მოედანზე გაყვანას არ ერიდება. 5-10 წუთითაც რომ მათამაშონ, თანახმა ვარ. არადა, როგორც მეუბნებიან, ზადარელები რომელიმე ადრიატიკის ლიგის გუნდში გამანათხოვრებენ.

— როდის მიდიხარ ზადარში?

— ერთ-ორ კვირაში, გააჩნია, ვიზას როდის მომცემენ. ისე, თუ ხორვატიაში არ დავრჩი, „ჟალგირისის“ დუბლებს წყალი აღარ გაუვა — იქ გადავალ.

ირაკლი პერტაია

აზოტი დაბრუნდა

ბაბიაშვილმა და ტუჯანიმ რუსთავი აათუსთუსეს

ქართული კალათბურთის ქომაგს კარგად ახსოვს რუსთავის „აზოტი“, დიდად ამბიციური და წლების განმავლობაში ოქროსთვის მებრძოლი გუნდი. ქვემოქართლელები არაერთხელ მიუახლოვდნენ ჩემპიონობას, მაგრამ საბოლოო მიზნის მისაღწევად ილავი არ ჰყოფნიდათ. და აი, ახლა, იმ ძველაზოტური ციებ-ცხელებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, რუსთაველ გულშემატკივარს კვლავ უჩნდება პირველობის პრეტენზია.

ქვემოქართლელ ქომაგებთან გამოკითხვა არ ჩაგვიტარებია და შესაბამისად ვერ დავიჩემებთ, მართლა სურთ ჩემპიონობა თუ არა, მაგრამ რუსთაველთა მაქსიმალისტობის ამბავი რომ ვიცით, არა გვგონია, „აზოტში“ ამ ბოლო დროს განხორციელებული ტრანსფერების შემდეგ მათ ასეთი სურვილი არ გასჩენოდათ.

მაშ ასე, ბაქოს „გალადან“ წამოსული ზვიად ბაბიაშვილი და ჟოლიეტ ტუჯანი რუსთავის „აზოტში“ მოეწყვნენ, რითაც ქვემოქართლელებს წინა ხაზის პრობლემა მოუხსნეს.

არადა, ცოტა ხნის წინ „აზოტს“ ერთი ორ მეტრს აცილებული მოთამაშეც არ ჰყავდა და ფონს არცთუ ურიგოდ უკანახაზელთა მარიფათით გადიოდა. თუმც რაც ქარხანა „აზოტს“ ინვესტორი გამოუჩნდა, ოთარ ხმელიძის გუნდში ჩვენში სახელმოხვეჭილი მოთამაშეების მიდინება დაიწყო.

ჯერ იყო და, რუსთაველებმა სლოვაკური „პრეძევიდან“ წამოსული დავით იმნაძე შეიმატეს, რომელმაც შარშანწინ „ბასკოში“ იჩემპიონა, შარშან კი გორდონ ჰერბერტის დამოძღვრილ ეროვნულ ნაკრებს იტალიურ შეკრებაზე გაჰყვა. იმნაძემ „აზოტის“ ფარქვეშეთი მნიშვნელოვნად გააძლიერა, თუმც რაც ახლახან ბაბიაშვილი და ტუჯანი შეიმატეს, რუსთაველებმა წინა ხაზი საბოლოოდ და საიმედოდ დაიკომპლექტეს.

ზვიადი კარგი მეფარეა. მას საქართველოში ერთი-ორი თუ გაუწევს კონკურენციას, ხოლო კამერუნელ ტუჯანის მოხსნებსა და დაფარებებში მოცილე არ ჰყავდა, როცა ის აქ თამაშობდა. ერთი სიტყვით, „აზოტს“, რომელსაც ფარქვეშ ყველაზე მეტად უჭირდა ქართული ჩემპიონატის მოწინავე გუნდებს შორის, ახლა ერთ-ერთი უძლიერესი მეფარეები ჰყავს.

„ავიამშენისგანაც“ მქონდა შემოთავაზება, მაგრამ საბოლოოდ „აზოტზე“ შევაჩერე არჩევანი — გვითხრა ზვიად ბაბიაშვილმა — რუსთავში ადრე არაერთი სეზონი გავატარე და ამ ქალაქში ისე ვგრძნობ თავს, როგორც საკუთარ სახლში. ვფიქრობ, „აზოტს“ ახლა საკმარისი ძალა შესწევს, ფინალში გასასვლელად რომ იბრძოლოს. ისე, გააჩნია, როგორ მოვემზადებით, იქნებ ჩემპიონობასაც შევწვდეთ“.

„აზოტი“ ახლა წყალტუბოშია შეკრებაზე და ფიზიკურად ემზადება. ქვემოქართლელებს ამინდი არ სწალობთ და როგორც ბაბიაშვილმა გვითხრა, ეგებ ნაადრევად დაბრუნდნენ რუსთავში.

ირაკლი პერტაია

ბაბრი ბუნელაძის ფოტოები

2000 წელი. ზვიად ბაბიაშვილი (№5) „აზოტის“ მაისურით

2004 წელი. ჟოლიეტ ტუჯანი ჩემპიონობას ხაროობს

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ბრაიანტი: ოთხ თამაშში 188 ქულა!



AFP ლოს ანჯელესიდან

კობი ბრაიანტი ყველაზე მაღლა დაფრინავს

9 იანვარი

ლეიკერსი 96:90 ინდიანა

ლეიკერსი: ბრაიანტი (45 ქულა, 10 მოხსნა, 5 პასი), ოდომი (17 ქულა, 12 მოხსნა)

ინდიანა: ონილი (24 ქულა, 16 მოხსნა), ჯონსონი (14)

ჩიკაგო 113:104 ტორონტო

ჩიკაგო: ჰაინრიხი (25 ქულა, 11 პასი), დენგი (21), გორდონი (19), ნოჩიონი (18)

ტორონტო: ბოში (26), როუზი (24), პიტერსონი (22), ჯეიმსი (14 ქულა, 13 მოხსნა)

ბოსტონი 102:104 დალასი

ბოსტონი: პირსი (32), დევისი (17)

დალასი: ტერი (30), ნოვიცკი (26), სტეკჰაუსი (20)

ვაშინგტონი 89:97 იუტა

ვაშინგტონი: ჯემისონი (30), ბატლერი (16), დანიელსი (15), არენასი (14)

იუტა: ოქური (19 ქულა, 13 მოხსნა), კირილენკო (17)

ფილადელფია 107:98 სიეტლი

ფილადელფია: აივერსონი (41 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), სალმონსი (18), კორვერი (17), იგუდალა (16)

სიეტლი: ალენი (27), რადმანოვიჩი (15 ქულა, 12 მოხსნა), ლუისი (14)

კობი ბრაიანტმა, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ სუპერვარსკვლავმა თავისი სუპერკარიერა სულ ასე ზღაპრულად რომ გავლოს და ჩაამთავროს, მას მაინც არავინ დააყენებს მაიკლ ჯორდანის გვერდით, მაგრამ კობიმ რაღაცაში მაინც აჯობა ჯორდანს და ნბა-ს ბევრ სხვა ლეგენდარულ მოთამაშეს.

9 იანვარს „ინდიანასთან“ — რომელიც შაკილ ონილთან ერთად 2000 წელს პლეი ოფის ფინალში დაუმარცხებია — ბრაიანტმა 45 ქულა მოაგროვა და ბოლო 41 წლის განმავლობაში პირველი მოთამაშე გახდა, ვინაც ზედიზედ 4 შეხვედრაში მოიხვეჭა სულ ცოტა 45 ქულა. 41 წლის და ორი თვის წინ ეს შეძლო ასოციაციის ყველა დროის ყველაზე უთვალსაჩინოესმა ვარსკვლავმა და დეკაცმა უილტ ჩემბერლენმა. მას აქეთ — ნუ ჩამოგვათვლევინებთ და — საკალათბურთო ამერიკას არაერთმა ბომბდამშენმა გადაუფრინა, თუმც ასეთი ციფრების ბეჭდვა ვერავინ შეძლო.

აი, კობის ბოლო ოთხი მატჩიც:

28 დეკემბერი — „მემფისითან“ 45

6 იანვარი — „ფილადელფიასთან“ 48

7 იანვარი — „კლიპერსთან“ 50

9 იანვარი — „ინდიანასთან“ 45

„იღბალი ძალიან მწყალობს — ამბობს ბრაიანტი — მაგრამ ახლა ვცდილობ, ამაზე არ ვიფიქრო. კარგ ფორმაში ვარ და არ მინდა, რიტმიდან ამოვვარდე“.

ამ არანორმალური სერიის წყალობით ბრაიანტმა ბომბარდირთა დავაში იოლად გადაასწრო ფილადელფიელ ალენ აივერსონს, რომელსაც 6 იანვარს პირად დუელშიც აშკარად აჯობა. აივერსონი ნბა-ს პირველი ბომბარდირი ოთხჯერ გახდა (99, 01, 02, 05) და მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შედეგიანობა არასდროს ჰქონია, როგორიც წლეულს (საშუალოდ 33,3 ქულა მატჩში), მაინც ვერ დააკავა გადარეული ბრაიანტი.

კობის შედეგიანობამ კი „ინდიანასთან“ შეხვედრის შემდეგ 34,1 ქულას უწია. მაიკლ ჯორდანსაც კი 1988 წლის შემდეგ არასდროს მოუმკია ასეთი უხვი მოსავალი, არადა, მას აქეთ კიდევ რვაჯერ იპირველა ბომბარდირებში. მოკლედ, ბრაიანტი დაფრინავს, მისი „ლეიკერსი“ კი, რაღა თქმა უნდა, იგებს.

გადასარევ ფორმაშია ალენ აივერსონიც და აგერ საბუთიც — მწვრთნელგამოცვლილ „სიეტლს“ მან 41 ქულა უმარჯვა და თუმც თანაგუნდელთაგან ყველაზე ყოჩაღი, კრის ვებერი გვერდით არ ჰყავდა, „ფილადელფიას“ უმისოდაც მოაგებინა. ამით „სიქსერზმა“ მოგება-წაგებების ბალანსი 17-17 გაათანაბრა.

ნერვებისდამწყვეტ ჯახში დირკ ნოვიცკის „დალასმა“ ბოსტონში დასცა იქაური „სელტიქსი“, რომელიც ბოლო დროს დაუნანებლად აგებს. ნოვიცკიმ „ბოსტონს“ 26 ქულა უყელა, სტუმართა მეორე ლიდერმა ჯეისონ ტერიმ კი — 30, მაგრამ მატჩის გმირი მაინც სხვა გახდა. ოდესღაც სუპერმექულემ, ბოლო წლებში კი „დალასის“ სკამზე დამკვიდრებულმა ჯერი სტეკჰაუსმა თავისი საამმატჩო 20 ქულიდან ბოლო ორი გააკეთა 102:102 ანგარიშზე, მეოთხე მეოთხედის დასრულებამდე 0,1 წამით ადრე და თავისიანები დამატებით დროში ჯახირს აარიდა.

„ბოსტონივით“ ამბიციურმა, მაგრამ ამასთან გამარჯვების მასზე არანაკლებ გულუხვად გამჩუქებელმა „ვაშინგტონმა“ შინ ძვრა ვერ უყო დასავლელ აუტსაიდერ „იუტას“, რომელიც აღმოსავლელი ნახევარფავორიტებისგან განსხვავებით, მოსაგებს იგებს და ბოლო 8 მატჩში 7 გამარჯვებაც მოუგროვდა. „იუტა“ მესამე მეოთხედში 22 ქულით დაწინაურდა და მისმა ლიდერებმაც თავს ჩათვლემის უფლება მისცეს. „ვაშინგტონმა“ ამით თითქმის ისარგებლა და ბოლო წუთებისთვის სხვაობა 6 ქულამდე შეამცირა, თუმც იუტელი გამთამაშებლის, დერონ უილიამსის დროულმა სამქულიანმა მასპინძლები ამ მატჩის ხსნის ამაოებაში დაარწმუნა.

ჩიკაგოელმა „ხარებმა“ 2002 წლის 6 დეკემბრის შემდეგ ზედიზედ მეთერთმეტედ დარქინეს უკბილო ტორონტოელი „დინოზავრები“, რომლებიც ბოლო დროს უკეთ კი ათამაშდნენ, მაგრამ არა იმდენად, რომ საკუთარ თავებს გადაახტნენ და მათზე ძლიერებს ქედი მოახრევინონ.

კოტე ყორჩია

ფოტო ალექსანდრე ბერაძისა

შენგელი ფიცხელაურმა, მაია რჩეულიშვილმა და გია ნაცვლიშვილმა ხელი ხელს დაჭერეს...

ახალი სპონსორი და ძიგორო კანო

საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ შარშან წლის ბოლოს დაწყებული სასიკეთო საქმე — სპონსორების მოზიდვა — გუშინ ვაკეში გააგრძელა. „ავსტრიის ავიახაზებისა“ და „კოკა-კოლას“ შემდეგ კონტრაქტი სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტთან“ გაფორმდა.

კომპანიის ცენტრალურ ოფისში მხარეებმა ერთწლიან ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, მერე კი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტებმა შენგელი ფიცხელაურმა და გია ნაცვლიშვილმა წმინდა სპორტული პრეს-კონფერენციაც მოაწყვეს

„ძიუდო საქართველოში უდიდესი ტრადიციის მქონე სპორტის სახეობაა — ამბობს „ცენტრ პოინტის“ ხელმძღვანელი მაია რჩეულიშვილი — ძიუდოთი დაკავებული პატარები ჯანსაღი ცხოვრების წესით იზრდებიან და ქუჩისთვისაც ნაკლები დრო რჩებათ. ამრიგად, თუ უფრო მეტად გაიზრდება ინტერესი, ეს მარტო სპორტს როდი წაადგება. მოლაპარაკებები ჩვენსა და ძიუდოს ფედერაციას შორის ჯერ კიდევ ორი წლის წინათ დაიწყო, მაგრამ მხოლოდ ახლა დაესვა წერტილი, რაშიც ლომის წილი გია ნაცვლიშვილს მიუძღვის. ბედნიერი ვარ და მივმართავ ყველა ორგანიზაციას, გვერდით დაუდგნენ სპორტს“.

კონტრაქტის ფინანსური პირობების გამხელისგან მხარეებმა თავი შეიკავეს. ნაცვლიშვილმა მხოლოდ ის დასძინა, „ცენტრ პოინტისგან“ მიღებული თანხით ფედერაციის მუშაობას გავაუმჯობესებთო, ერთწლიანი ვადის გაგრძელების პერსპექტივაზე კი კომპანიისა და ფედერაციის ჩინოსნები აქედანვე საუბრობენ.

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ნაცვლიშვილმა და ფიცხელაურმა საქართველოს ნაკრების უახლოეს გეგმებზე ისაუბრეს. დღეს ნაშუადღევს შოთა ხაბარელის გუნდი მოსკოვის გავლით ტოკიოში მიფრინავს, სადაც 14-15 იანვარს ძიგორო კანოს სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე გამოვა.

გია ნაცვლიშვილი: „საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პირველად ხდება, რომ ძიგორო კანოს მემორიალზე გუნდი სრული შემადგენლობით მიდის. ამას სპორტის დეპარტამენტის დახმარებით ვახერხებთ და მადლობის მეტი რა გვეთქმის. მწვრთნელებს შოთა ხაბარელსა და გურამ მოდებაძეს ათი სპორტსმენი მიჰყავთ, რომელთაგანაც ტატამზე რვა გავა. შემადგენლობა ახალგაზრდულია, რამდენიმე დებიუტანტიცაა და წარმოიდგინეთ, მათთვის რამხელა სკოლაა იაპონელებთან ჭიდილი. თითო წონაში ხომ ოთხი მასპინძელი გამოვა. ტურნირის შემდეგ ჩვენი გუნდი ტოკიოში დარჩება და იაპონელებთან ერთად ერთობლივ წვრთნას ჩაატარებს. აქვე ერთ სიახლეზეც გეტყვით. ძიგორო კანოს მემორიალზე სპეციალურად ოპერატორიც მიგვყავს. ეს პრეცენდენტიც აუცილებლად უნდა დავნერგოთ, რათა პოტენციური მეტოქეების ჭიდაობა უკეთ შევისწავლოთ. იაპონიის ძიუდოს ფედერაციასთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, ამ ტურნირის შემდეგ კი იმედია, უფრო გაღრმავდება“.

შენგელი ფიცხელაური: „ძიუდოს სამშობლო იაპონიაა და იქაური სკოლაც უძლიერესად მიიჩნევა მსოფლიოში. ამიტომ მომავალი ტურნირი სიძლიერით არც ერთ უდიდეს ტურნირს არ ჩამოუვარდება. ჩვენ მათგან ბევრს ვსწავლობთ, ისინი კი — ჩვენგან. 4-5 თებერვალს იაპონიის ნაკრები თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ჩამოვა და დასრულების შემდეგ რამდენიმედღიანი ქართულ-იაპონური ერთობლივი ვარჯიშები ერთხელაც ჩატარდება. ერთადერთი ქართველი, ვისაც ძიგორო კანოს მემორიალზე უჩემპიონია, დავით ბოდაველია. იმედია, ახალი ქართველი ჩემპიონიც მალე გამოჩნდება“.

ოთარ მაღლაკელიძე

რომ არ გაუქმდე, გაერთიანდი

სპორტის დეპარტამენტმა ახალგაზრდული შეიფარა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზარდულ საქმეთა დეპარტამენტები გაერთიანდნენ. ამაზე ჯერ კიდევ შარშან ოქტომბერში იყო კულუარული საუბარი, ახლა კი ყველაფერი ოფიციალურად გაცხადდა

ამ საქმით წაგებული არც ერთი მხარე არ უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტებს საერთოდ გაუქმებაც ემუქრებოდათ. მეტიც, სპორტის დეპარტამენტის შენობა საპრივატიცაზიო სიაშიც მოიაზრებოდა, მაგრამ გამოსავალი მაინც მოინახა. გაერთიანებული დეპარტამენტი ვაკეში, სპორტის სათავო ოფისში დაიდებს ბინას, ხოლო ერთიან დეპარტამენტს, სპორტის დეპარტამენტის შეფი დავით ნამგალაური უთავკაცებს.

ცხადია, ამ გაერთიანებამ საკადრო და სტრუქტურული ცვლილებებიც გმოიწვია. თუ რა, ამის გასარკვევად ახალი დეპარტამენტის თავმჯდომარეს დავით ნამგალაურს დავუკავშირდით.

— შექმნილი ვითარებიდან ეს იყო საუკეთესო გამოსავალი. იცით, რომ დეპარტამენტს საერთოდ გაუქმება ემუქრებოდა. ასეთ ვითარებაში კი ჩვენ მოვახერხეთ, მთავრობის რეფორმების და სპორტის ინტერესების თანხვედრა და ჩემი და ბევრის აზრით, ოპტიმალურ ვარიანტს მივაკვლიეთ. ევროპის ბევრ ქვეყანაში სპორტის და ახალგაზრდული საქმეთა დეპარტამენტები ერთად არიან — გვითხრა ნამგალაურმა.

— გაერთიანება, ცხადია, საკადრო ცვლილებებსაც გამოიწვევდა.

— რა თქმა უნდა! ერთიანი დეპარტამენტის თავმჯდომარე მე ვიქნები. ჩემი მოადგილე გია გალდავა თანამდებობაზე რჩება, ედიშერ მაჩაიძე კი მრჩეველი იქნება. მის ადგილს ანუ მეორე მოადგილის პოსტს ახალგაზრდული საქმეთა დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი ნადირაძე დაიკავებს. გარდა იმისა, რომ ბატონი ედიშერი ჩემი მრჩეველია, სპორტის აკადემიაში, ჭიდაობას კათედრაზე ლექციებს წაიკითხავს. სპორტის და კულტურის მინისტრის მოადგილე ახალგაზრდულ საქმეთა დარგში, ლადო ვარძელაშვილი, მინისტრის მოადგილედ დარჩება, ოღონდ ახალგაზრდულ საქმეებთან ერთად

დავით ნამგალაური

ბადრი ჯითლაძის ფოტო

სპორტის ამბებითაც დაკავდება. მინისტრის უკვე ყოფილი მოადგილე სპორტის დარგში თამაზ თევზაძე კი მრჩეველი იქნება. ძირითადად ეს ცვლილებები მოხდა. შტატების შემცირება არ ყოფილა, უბრალოდ, ზოგ თანამშრომელს სტატუსი შეეცვალა. ასე რომ, ამ რეფორმას არავინ „შეეწირა". და კიდევ, სპორტის დეპარტამენტის პრესს-ცენტრის უფროსი ზურაბ უსუფაშვილი ძიუდოს ფედერაციაში აღმასრულებელი დირექტორის პოსტზე იმუშავებს, პრესცენტრის კიდევ ერთი თანამშრომელი თათია ბურდული დავაწინაურეთ და სამინისტროში გადავიყვანეთ, ხოლო ჩვენ გაერთიანებულ დეპარტამენტს ახალი პრესს-მდივანი ეყოლება, რომელსაც სამინისტრო გამოგვიგზავნის.

— დაფინანსების მხრივ შეიცვლება რამე?

— პრაქტიკულად არაფერი. სპორტისთვის და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტისთვის გამოყოფილი თანხა იგივე დარჩება, ერთად მივიღებთ, ოღონდ ყველა თავისას გაინაწილებს. რამეს მომატებაზე ან დაკლებაზე საუბარი არ არის. ამ მხრივ ერთადერთი სიახლე ისაა, რომ ეს-ეს-ეს ახალგაზრდული საქმეთა დეპარტამენტი სამინისტროს შენობაში იყო და კომუნალურ გადასახადს არ იხდიდა. ჩვენ ვიხდით რადგან ცალკე შენობაში ვიყავით. ახლა ერთ შენობაში ვიქნებით და გადასახადსაც ერთობლივად გადავიხდით. ახალგაზრდული საქმეთა სამსახური ჩვენს ზემოთ, მესამე სართულზე იქნება, სადაც ახლა რემონტია.

— სპორტული თვალსაზრისით რამდენად მომგებიანია ასეთი გაერთიანება?

— თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ საერთოდ გაუქმებაზე იყო საუბარი, ამაზე უკეთესს ვერც მოვახერხებდით. თანაც ბევრი საერთო საქმე გვაქვს და აქამდე მათ საკეთებლად აქეთ-იქით გვიწევდა სიარული, ახლა კი უფრო ორგანიზებულნი ვიქნებით და დროსაც მოვიგებთ. ერთი სიტყვით, ამ გაერთიანებით ორივე დეპარტამენტმა მოვიგეთ. რაც მთავარია, არც თანამშრომლების დათხოვნა მოხდა და არც რომელიმე უწყების გაუქმება.

ბათუ ხარძიანი

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

განთესილების შავი დღე სიდნეიში



კიმ კლაისტერსი

AFP სიდნეიდან

ATP

სიდნეი. ავსტრალია
მაგარსაფარი.
საპრიზო 394 000 დოლარი
პირველი წრე

დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) — ტომი რობრედო (ესპანეთი, 6) — 7:6 6:3; **ხუან მონაკო** (არგენტინა) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) — 6:3 6:2; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — რიშარ გასკე (საფრანგეთი) — 5:7 6:2 6:4; **პარადორნ შრიჩაპანი** (ტაილანდი) — რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი, 7) — 6:3 6:4; **ანდრეას სეპი** (იტალია) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) — 6:3 6:7 6:3; **პეტერ ლუჟაკი** (ავსტრალია) — ქსავიე მალისი (ბელგია) — 7:6 7:6; **კარლოს მოია** (ესპანეთი) — სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) — 5:7 7:5 7:6; **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი, 2) — ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) — 7:6 6:3

სიდნეიში მიმდინარე ATP-ის ტურნირზე პირველი წრეც კი არ დასრულებულა და გათამაშებას უკვე სამი განთესილი მოთამაშე გამოეთიშა. ჯერ კიდევ კვირას საწყისი რაუნდი ძლივს, მაგრამ მაინც გადალახა ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა. მისგან განსხვავებით, ძალიან ცუდად ითამაშეს ესპანელმა ტომი რობრედომ, ფრანგმა თინეიჯერმა რიშარ გასკემ და ჩეხმა რადეკ შტეპანეკმა.

შტეპანეკმა ტაილანდელ პარადორნ შრიჩაპანთან წააგო, რომელსაც, ეტყობა, ძალიან დაეხმარა ის, რომ მთელი დეკემბერი ბუდისტურ მონასტერში გაატარა. ტაილანდელმა შტეპანეკს მხოლოდ შვიდი გეიმი დაუთმო.

ცუდად დაიწყო ახალი სეზონი 19 წლის ამომავალმა ფრანგმა ვარსკვლავმა რიშარ გასკემ. მას არც დოჰაში უასპარეზია კარგად წინა კვირას, სიდნეიში კი პირველ წრეშივე, სულ რაღაც 65 წუთში წაგო რუს იგორ ანდრეევთან.

ზემოთ ჩამოთვლილი ჩოგბურთელების გარდა სიდნეის კორტებს დაემშვიდობა თითქოსდა კარგ ფორმაში მყოფი ბელგიელი ქსავიე მალისიც. მან რამდენიმე დღის წინ ადელაიდის ტურნირის ფინალში ითამაშა, ახლა კი პირველივე წრიდან გამოეთიშა ასპარეზობას.

ესპანელი კარლოს მოიასა და ფრანგი სებასტიან გროჟანის შეხვედრამ მეტად დაძაბულად ჩაიარა. სამსეტიან მატჩში საბოლოოდ ესპანელმა იმარჯვა, რომელიც ჯერჯერობით მაინც საკმაოდ კარგ ფორმაშია და ეს წინა კვირასაც დაამტკიცა, როცა ინდურ ჩენაიში ფინალში გავიდა.

„გროჟანთან ყოველთვის დაძაბული თამაშები მაქვს... მეორე სეტის შუაწელში ძალიან სუსტად ვგრძნობდი თავს, ცალკე დროის სარტყელების შეცვლის, ცალკე აუტანელი სიცხის გამო, თუმც არ ვიცი საიდან, უცებ კარგად ავთამაშდი და დაძაბულობაც მომეხსნა... ასეა თუ ისე, ბედნიერი ვარ, რომ გავიმარჯვე" — თქვა მოიამ.

ფრანგულ დერბიში კი შედარებით ახალგაზრდა ფლორენ სერამ დიდი წვალების შემდეგ დაამარცხა თავისი გამოცდილი თანამემამულე ფაბრის სანტორო.

WTA TOUR

სიდნეი. ავსტრალია
მაგარსაფარი.
საპრიზო 600 000 დოლარი
მეორე წრე

კიმ კლაისტერსი (ბელგია, 1) — ნა ლი (ჩინეთი) — 6:3 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსეთი, 6) — დინარა საფინა (რუსეთი) — 6:3 (შეწყდა); **ანა ივანოვიჩი** (სერბია-ჩერნოგორია) — ამელი მორეზმო (საფრანგეთი, 2) — 6:3 7:5; **ჟუსტინ ენინ-არდენი** (ბელგია, 5) — ვერა დუშევინა (რუსეთი) — 6:2 6:2; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (ჩეხეთი, 8) — იულიანა ფედაკი (უკრაინა) — 6:3 6:3; **ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია, 7) — ჟი იანი (ჩინეთი) — 3:6 7:6 6:1; **დანიელა ჰანტუკოვა** (სლოვაკეთი) — პატი შნაიდერი (შვეიცარია, 3) — 3:6 6:3 6:4.

არანაკლებ საინტერესოდ მიმდინარეობს სიდნეიში ქალების ტურნირიც.

მეორე წრე იოლად გადალახა და შემდეგ ეტაპზე გავიდა სიდნეიში პირველ ნომრად განთესილი ბელგიელი კიმ კლაისტერსი, რომელმაც არანაირი შანსი არ დაუტოვა ჩინელ ნა ლის და მხოლოდ ოთხი გეიმის აღება აკმარა. ბელგიელი სეზონის დასაწყისიდანვე მშვენიერ ფორმაში იმყოფება — ეს კლაისტერსმა წინა კვირას შანხაიში გამართულ საჩვენებელ შეხვედრებშიც დაამტკიცა. იგი, ალბათ, ავსტრალიის ღია პირველობის უმთავრესი ფავორიტი იქნება.

მეოთხედფინალში ადგილი დაიბევა კიდევ ერთმა ბელგიელმა ჟუსტინ ენინ-არდენმაც, რომელმაც მარტინა ჰინგისს რუსი ვერა დუშევინაც მიაყოლა. ენინმა, როგორც ჩანს, მოიშუშა ტრავმა, რომელმაც ბელგიელი ძალიან გააწამა ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში. ის ამჯერად საკმაოდ კარგ ფორმაშია და ავსტრალიის ღია პირველობაზე საწყისი წრეების დროს რაიმე გაუთვალისწინებელი პრობლემა თუ არ შეექმნა, ალბათ, მინიმუმ „დიდი მუზარადის" პირველი ტურნირის მოგების ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენდენტი იქნება.

ჯერჯერობით დიდებულად ასპარეზობენ სიდნეიში თინეიჯერი ჩოგბურთელები — სერბი ანა ივანოვიჩი და ჩეხი ნიკოლ ვაიდიშოვა. პირველმა ამჯერად ასპარეზობას მეორე ნომრად განთესილი ფრანგი ამელი მორეზმო გამოთიშა, თანაც ისე, რომ არავის არ შეპარვია ეჭვი მის სიძლიერეში.

შედარებით იოლი მოწინააღმდეგე შეხვდა ვაიდიშოვას უკრაინელი იულიანა ფედაკის სახით. ჩეხს არანაირი პრობლემა არ ჰქონია შემდეგ ეტაპზე გასასვლელად.

მორეზმოს ბედი გაიზიარა კიდევ ერთმა განთესილმა — მესამე ნომერმა პატი შნაიდერმა. მან სლოვაკ დანიელა ჰანტუკოვასთან დაყარა ფარ-ხმალი.

ATP

ოკლენდი. ახალი ზელანდია
მაგარსაფარი.
საპრიზო 430 000 დოლარი
პირველი წრე

პოლ გოლდსტინი (აშშ) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) — 6:0 3:1 (შეწყდა); **ფერნანდო გონსალესი** (ჩილე, 1) — ლუის ჰორნა (პერუ) — 6:3 6:4; **დავიდ ფერერი** (ესპანეთი, 2) — ფედერიკო ლუცი (იტალია) — 7:5 6:2; **ივო მინარი** (ჩეხეთი) — ვესლი მუდი (სამხრეთ აფრიკა) — 2:1 (შეწყდა); **ქრისტოფერ როხუსი** (ბელგია) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) — 6:4 6:4; **ნიკოლას მასუ** (ჩილე) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი, 4) — 6:2 6:4

WTA TOUR

კანბერა. ავსტრალია
მაგარსაფარი.
საპრიზო 145 000 დოლარი
მეორე წრე

შაჰარ პირი (ისრაელი, 4) — ელენა დანილიდუ (საბერძნეთი) — 7:6 6:2; **იუნ იონგ ჩო** (ჩრდ. კორეა) — ემა ლაინი (ფინეთი) — 6:4 6:4; **ეკატერინა ბიჩკოვა** (რუსეთი) — ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) — უარი; **აიკა ნაკამურა** (იაპონია) — რობერტა ვინჩი (იტალია, 5) — 7:5 6:0; **ჯულია შრუფი** (გერმანია) — ივონ მოისბურგერი (ავსტრია) — 6:7 6:4 6:1; **მელინდა ჭინკი** (უნგრეთი) — ვირჯინია რაზანო (საფრანგეთი) — 5:7 7:5 6:3; **ანაბელ მედინა გარიგესი** (ესპანეთი, 1) — ტატიანა პოუტჩეკი (ბელარუსია) — 6:0 6:1; **კატალინა კასტანო** (კოლუმბია, 6) — ტატიანა გარბინი (იტალია) — 7:6 7:5

WTA TOUR

ჰობარტი. ავსტრალია
მაგარსაფარი.
საპრიზო 145 000 დოლარი
მეორე წრე

ჯილ კრეიბასი (აშშ, 8) — სევერინ ბრემონდი (საფრანგეთი) — 4:6 6:2 6:2; **მარა სანტანჯელო** (იტალია) — ანა კრემერი (ლუქსემბურგი) — 7:5 6:1; **ელენა ჯოსტანიჩი** (ხორვატია) — ნურია ლაგოსტერა-ვივესი (ესპანეთი) — 6:3 5:7 6:4; **ლაურა გრენვილი** (აშშ) — ჯამეა ჯექსონი (აშშ) — 2:6 7:5 6:3; **მიკაელა კრაიჩეკი** (ჰოლანდია) — სტეფანი ფორეტი (საფრანგეთი) — 3:6 6:3 6:2; **ივეტა ბენეშოვა** (ჩეხეთი, 5) — მაშონა ვაშინგტონი (აშშ) — 6:2 3:6 6:2

კახა ლომაშვილი

რეგულარული ჩემპიონატი

პი. თითი

AFP სანტ პაულიდან

დალასელი მატიას ტიანყვისტი (№23) და მინესოტელი ვილი მიზელი ორთაბრძოლისას

9 იანვარი

კოლორადო 6:1 სენტ ლუისი
2:0 1:0 3:1

1:0 ბრისბუა (14), 2:0 სვატოში (15), 3:0 სვატოში (29), 4:0 ბრიუნეტი (50), 4:1 გამაში (52), 5:1 სვატოში (54), 6:1 ტანგეი (57)

კოლორადოელ მარეკ სვატოშს ჩინებულად ესმის, რომ წლეულს მას საუკეთესო ახალბედას პრიზის მოგების შანსი პრაქტიკულად არა აქვს, რადგან ლიგაში ოვეჩკინსა და კროსბიზეა დიდი აჟიოტაჟი, მაგრამ... ის მშვიდად ასრულებს თავის საქმეს და გუნდისთვის მეტად საჭირო გოლები გააქვს. „სენტ ლუისთან“ თამაში სლოვაკმა ფორვარდმა კარიერაში პირველი ჰეთ თრიქით შეასრულა თანაც ტრავმირებული მუდმივი პარტნიორის, პიერ ტარვონის არყოფნაში და 25 შაიბით ოვეჩკინს გაუტოლდა.

მინესოტა 1:2 დალასი
1:0 0:2 0:0

1:0 რ. რობიტაილი (7), 1:1 ლეპტინენი (22), 1:2 ბუშე (32)

მას შემდეგ, რაც „დალასმა“ მარტი ტურკოსთან ახალი, 4-წლიანი და 22,9 მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა, კლუბმა უძლიერესი მეკარე ჩაიგდო ხელში... იოჰან ჰედბერგის სახით.

ამჟამად „დალასის“ მთავარი იმედი ნომერ პირველ პოზიციაზე ძირითადი მეკარე ტურკო კი არა, ძისი შემცვლელი შვედი ჰედბერგია. წლეულს „ვარსკვლავთ“რიგებში გადმოსული ჰედბერგი ისე კარგად ასპარეზობს, რომ კლუბში უკვე მის პირველ მეკარედ გამწესებაზეც ფიქრობენ. ხუმრობაა, სეზონში ჩატარებული 9 მატჩიდან ჰედბერგმა 8 მოიგო და ამჟერადაც (25 მოგერიება) წარმატებით შეცვალა წინა ორ მატჩში შერცხვენილი ტურკო.

ნიუ ჯერსი 3:0 ფილადელფია
1:0 1:0 1:0

1:0 პარიზე (15), 2:0 ლანგენბრუნერი (32), 3:0 გომესი (49)

ანაჰაიმი 6:2 ლოს ანჯელესი
2:1 2:1 2:0

1:0 გეცლაფი (6), 1:1 კონროი (8), 2:1 მაკდონალდი (13), 2:2 ვისნოვსკი (21), 3:2 ჰედსტროიმი (29), 4:2 ჰედსტროიმი (36), კუნიცი (52), ჰედსტროიმი (54)

ილია კოვალჩუკი ალბათ ვერ წარმოიდგენდა, რა აყალმაყალი მოჰყვებოდა მისი საჩვენებელი თითის ერთ მოძრაობას...

ყველაფერი პარასკევს დაიწყო, როდესაც ატლანტა-პიტსბურგის თამაშში კოვალჩუკმა თვით სიდნი კროსბის ჩაუტარა ძალისმიერი ილეთი და „პინგვინთა“ ვუნდერკინდი ბორტს მიანარცხა. სიდნიც გაფიცხდა და კოვალჩუკს ყვანჯი უთავაზა. თუმც ამით ვერაფერი მოიგო, ვინაიდან იგი გააძევეს და ამით ისევ კოვალჩუკმა იხეირა, მერე კროსბის წინ გასრიალდა და თითით მიანიშნა, ასე უნდა თამაშიო.

როგორც შემდგომ თავად კოვალჩუკმა ახსნა, მას უნდოდა, 18 წლის ვუნდერკინდისთვის ეგრძნობინებინა, რომ შეცდა.

„სიდნიმ სულელური ჯარიმა მიიღო და უნდა იცოდეს, რომ ასე თამაში არ შეიძლება“ — თქვა ილიამ ინტერვიუში, თუმც ისიც დასძინა, რომ არაფერი აქვს კროსბის საწინააღმდეგო. უბრალოდ, ეს მისი თამაშის სტილია.

მართლაც, კოვალჩუკმა უკვე მიაჩვია შოუს მოყვარე ჩრდილოამერიკელი მაყურებელი თავის ეფექტურ ილეთებს — გოლის შემდეგ ერთ მუხლზე გასრიალება ხოლმე, ან ყვანჯს ისე დაიჭერს, როგორც ავტომატს. თუმც კოვალჩუკის ბოლო ჟესტი ბევრ სპეციალისტს არ მოეწონა. მაგალითად, ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა კომენტატორმა დონ ჩერიმ გულახდილად განაცხადა, რომ ასეთი რამ არასდროს უნახავს.

„სხვები ეგებ კოვალჩუკს მაგ თითს და ხელს დაუმტვრევდნენ კიდეც. თუმც „პიტსბურგმა“ აპატია ეს ჟესტი“ — მკაცრად განაცხადა ჩერიმ.

და მაინც, ალბათ, ყველაზე ახლოს სიმართლესთან „ატლანტას“ თავკაცი ბობ ჰარტლი აღმოჩნდა:

„ეს ის ორი. ახალგაზრდაა, რომლებიც მომდევნო წლების განმავლობაში ლიგას ყველაზე მეტ შემოსავალს მოუტანენ. უბრალოდ, კოვალჩუკმა თავისებურად გამოხატა თავისი დამოკიდებულება მოსალოდნელი მრავალწლიანი კონკურენციის მიმართ“.

ბოლოს დავძენთ, რომ შაბათს გუნდების გენმეორეებით თამაშში კოვალჩუკმა კვლავ გაიბრწყინა და პარასკევს გაკეთებულ ჰეთ თრიქს კიდევ ორი შაიბა დაუმატა.

მთლიანობაში ილიამ გასულ კვირას 4 მატჩში 11 ქულა მოაგროვა და კვირის ლაურეატობაც დაიმსახურა, საუკეთესო დამცველად კი „კოლორადოს“ მეკარე დავიდ ებიშერი აღიარეს.

სამგელ ლარიგიანი

გრეცკის ბებიაც გარდაეცვალა

მძიმე დღეები დაუდგა დიად უეინ გრეცკის. ლიგის ყველა დროის საუკეთესო ჰოკეისტმა სულ სამი კვირაა, რაც დედა დაასაფლავა, შაბათს კი გარდაეცვალა ბებიაც, 84 წლის ბეტი ჰოკინი.

ქალბატონი ჰოკინი ერთი თვის წინ საავადმყოფოში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც წინა დღეს იმავე ჰოსპიტალში მისი შვილი, ანუ გრეცკის დედა, ფილის გრეცკი, მიიყვანეს. დიდ ნერვიულობას გულის შეტევა მოჰყვა. 22 დეკემბერს ბეტი ჰოკინი გამოწერეს საავადმყოფოდან, რათა ის შვილის დაკრძალვას დასწრებოდა. დიდი ემოციური დატვირთვის მერე ქალბატონ ჰოკინს გულის შეტევა მეორედ დაემართა და ველარც გაუძლო ამას.

„სევდიანი დღე, კვირა და თვეა ჩემთვის და მთელი ჩემი ოჯახისთვის. დღესვე შინ მივფრინავ, რათა ბებიის დაკრძალვას დავესწრო“ — განაცხადა უეინმა.

აღსანიშნავია, რომ ბეტი ჰოკინს 21 შვილიშვილი და 29 შვილთაშვილი ჰყავდა, გასვენება კი დღეს გაიმართება.

იარნო ტრული მეჩირაღდნეობამ გააბედნიერა

ტურინული ამბავ-ხაბარი

უკვე ერთი თვეა, რაც ტურინის ზამთრის ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა იტალიის გზებზე მიმდინარეობს.

შეგახსენებთ, რომ ჩირაღდანმა 8 დეკემბერს ჩააღწია რომში, ხოლო ფინიში 10 თებერვალს ტურინის ოლიმპიურ სტადიონზე ექნება, როცა უკან მოიტოვებს 11 ათას კილომეტრს. ამ გზაზე ჩირაღდანს მონაცვლეობით 10 ათასი კაცი ატარებს, რომელთა შორის არიან არა მხოლოდ ცნობილი იტალიელი სპორტსმენები, არამედ მსახიობები და შოუ ბიზნესის ვარსკვლავებიც.

მეჩირაღდენთა შორის იყო „ფორმულა-1“-ის პილოტი იარნო ტრული, რომელმაც კამპობასოდან პესკარამდე ამ კვირას ატარა ოლიმპიური ცეცხლი.

* * *

ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები, ბუენბრივია, ამ უდიდესი ფორუმის უსაფრთხოებაზე ყველაზე მეტად ფიქრობენ. უსაფრთხოების ზომები ისეთივე იქნება, როგორიც შარშან რომის პაპის იოანე პავლე მეორის დაკრძალვის ცერემონიალზე იყო. თუმცა, როგორც ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი ვალენტინო კასტელანი ვარაუდობს უმთავრესი პრობლემა ტორინოში სატრანსპორტო იქნება.

„ოლიმპიადის პირველ დღეს ჩვენ ძრავალი სიძნელე გველის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მას სწრაფად გავუმკლავდებით და თამაშების დასასრულს ჩვენი სტუმრები უკვე დაივიწყებენ იმ სირთულეებს, რაც დასაწყისში იქნება“ — თქვა ტურინის ყოფილმა მერმა.

* * *

საფრანგეთის სათხილამურო სპორტის პრეზიდენტმა ალენ მეტიამ განაცხადა, რომ მისი ქვეყნის სპორტსმენები, კერძოდ სათხილამურო რბენაში, სამთო თხილამურებში, სნოუბორდსა და ფრისტაილში სავარაუდოდ ტორინოს ოლიმპიადაზე რვიდან თხუთმეტამდე სხვადასხვა ხარისხის მედალს მოიპოვებენ.

სოლტ ლეიკ სიტიში ფრანგების ანგარიშზე 11 მედალი იყო. მათ შორის ოთხი სამოთხილამურებით ასპარეზობაში დაიმსახურეს. მათგან ჟან პიერ ვიდალმა და კარლ მონტიიემ ოქროს მედლები მოიპოვეს, ხოლო ლორ პეკინიუმ და სებასტიან ამიემ ვერცხლის ჯილდოები.

„არ ღირს ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ სეზონი არც ისე წარმატებით დავიწყეთ — ამბობს ალენ მეტია — ოლიმპიურ ზამთარში ყველანი სწორედ ოლიმპიადაზე ფიქრობენ და არა მსოფლიოს თასის ეტაპებზე. მხოლოდ ორ სპორტსმენს დავასახელებ, რომელთაგან ტურინში გამარჯვებას ველით. ეს არის კარგად ცნობილი კაროლ მონტიე, აგრეთვე ინგრიდ ჟაკემო, რომელიც თანდათანობით წინა პლანზე გამოდის“.

ფეხბურთი

ინგლისი

I ლიგა. გადადებული მატჩები

ბარნლი 1:0 ჯილინგემი
ბლეკპული 1:0 ოლდემი
როტერჰემი 1:1 პორტ ვეილი
სკანთორპი 2:2 ჰადერსფილდი
სუონსი 3:1 დონსი

II ლიგა. გადადებული მატჩები

ბარნეტი 1:1 ჩელტენჰემი
პიტერბრო 0:0 ოქსფორდი

კონფერენსლიგა. გადადებული მატჩები

ტემფორთი 1:2 აბერინგტონი
იორკი 0:1 სტივენეიჯი

ლიგის თასი. 1/2 ფინალი

უიგანი 1:0 არსენალი

საფრანგეთი

II დივიზიონი. XXI ტური

ბასტია 2:0 ამიენი
კაენი 1:3 რენემსი
ბენიონი 0:0 კრეტეი
ისტრი 1:0 სეტე
მონპელიე 2:1 შატორუ
ლორიანი 2:1 ბენგამი
დიჟონი — ლავალი *გადაიდო*

იტალია

თასის 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

პალერმო 5:4 ბარი (0:0)
იუვენტუსი 4:1 ფიორენტინა (2:2)

AFP ᲤᲝᲢᲝᲡᲒᲐᲜ



ᲓᲦᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ტოკიოს დიდი ბაშო იმით დაიწყო, რომ შარშანდელი წლის სრულიად ჩემპიონი, ტომით ბულგარელი კოტოოშუ, ვინც პირველი ევროპელი ოზეკია სუმოს ისტორიაში, გადმოიღო და დასდო როჰომ. როჰო კი რუსია.

AFP

ᲢᲐᲜᲐ ᲛᲘᲓᲘᲡ

ახალი ზელანდიის სარაგბო ნაკრების განთქმულმა კაპიტანმა, ტანა უმაგამ გამოაცხადა, რომ „ოლ ბლექსიდან“ მიდის, თუმც კი შინაურ რაგბის გააგრძელებს და ზე-12-შიც ვიხილავთ. ეს ფოტო კი შარშანდელია, როცა სამხრეთელთა გუნდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედმა მიიღო.

ᲣᲙᲣᲦᲛᲐ

სნოუბორდის ჩიბუხა გზებზე ტრიალად აუცილებელი ილეთია. ორეგონის მთებში ამ სპორტის დიდი ბრიზი თამაშდება და ამერიკელივე ტრიშია ბარნსიც ცდილობს.



AFP ᲑᲔᲠᲜᲐᲠᲓᲘᲡᲒᲐᲜ

ᲣᲓᲐᲒᲜᲝᲨᲘ ᲓᲐᲘᲚᲣᲞᲐ

AFP ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡᲒᲐᲜ



AFP

დეკემბრის რალის მეცხრე საშეჯიბრო დღეს ძალიან ცუდი ამბავი მოხდა: 41 წლის ავსტრალიელი მოტოციკლეტელი ენდი კალდეოტი დაიღუპა. მრბოლის მოტო აუყირავდა და კისრის ტრავმა ფატალური გამოდგა. დეკემბრის რალის 28 წლიან ისტორიაში კალდეოტი 23-ე მსხვერპლია.

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ: 38-11-14, 877 54 55 00

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge